პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 72 (13466) | ოთხშაბათი, 30 მარტი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

**გუშინ მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.**

**სკკპ XXIII ყრილობა მუშაობას განაგრძობს.**



მოსკოვი. 29 მარტი. კრემლის ყრილობათა სასახლე. სურათზე: სკკპ XXIII ყრილობის სხდომის დარბაზში.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

# საინფორმაციო ცნობა
## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის შესახებ

**29 მარტს**, დილის 10 საათზე, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგმა XXIII ყრილობამ. ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევმა.**

ყრილობამ აირჩია ყრილობის პრეზიდიუმი, სამდივნო, სარედაქციო კომისია და სამანდატო კომისია.

მტკიცდება ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი.**
2. სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ა. მურავიოვა.**
3. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ — მომხსენებელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ნ. კოსიგინი.**
4. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევმა**, რომელსაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ნ. ა. მურავიოვამ.**

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

...მოსკოვში, მთელ ჩვენს ქვეყანაში გაზაფხულის ხეო დაჰქრის. კრემლის ყრილობათა სასახლის ფასადთან აღმართულ ფლაგშტოკებზე ფრიალებენ საბჭოთა ქვეყნის წითელი ალამი და მოკავშირე რესპუბლიკების ალმები. 29 მარტს აქ მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ.

ახლა კრემლისადმი მიპყრობილია მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი კაცობრიობის ყურადღება.

...ხალხით ივსება კრემლის ყრილობათა სასახლის უზარმაზარი დარბაზი. დელეგატები ადგილებს იკავებენ. აქ არიან პარტიის ვეტერანები, მეტალურგები და მეშახტეები, ტრაქტორისტები და მეცხოველეები, მეცნიერები და მწერლები, კომბაინერები და აგრონომები, მასწავლებლები და ინჟინრები, მხატვრები და ექიმები, კოსმონავტები და საბჭოთა არმიის მეომრები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი. აქ არიან უცხოეთის კომუნისტური, მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული და მემარცხენე სოციალისტური პარტიების დელეგაციები.

დილის 10 საათია. დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს, როცა ისინი დარბაზში შემოვიდნენ.

დელეგატები და სტუმრები დიდი ყურადღებით ისმენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის შესავალ სიტყვას.

— მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ყრილობებმა, სამხარეო და საოლქო პარტიულმა კონფერენციებმა, — თქვა მან, — აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის 4.943 დელეგატი, აქედან 4.620 დელეგატი არჩეულია გადამწყვეტი ხმის უფლებით, ხოლო 323 დელეგატი — სათათბირო ხმის უფლებით. ყრილობაზე ჩამოვიდა 4.942 დელეგატი, ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება ერთი კაცი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ამხ. ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა გახსნილად გამოაცხადა.

რამდენიმე წუთს დარბაზში ისმის ტაშის გრიალი.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შემდეგ, — განაგრძობს ამხ. ბრეჟნევი, — ოთხ წელიწადზე ცოტა მეტი ხანი გავიდა. ეს პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო.

უდიდესი სიხარულით ეგებებიან კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას ჩვენი ქვეყნის მშრომელები. ეს გრძნობა წარმოშვა ახალმა წარმატებებმა კომუნიზმის მშენებლობაში, მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის დიადი მეგობრობის შემდგომმა განმტკიცებამ, ყველა საბჭოთა ადამიანის იდეურ-პოლიტიკური ერთიანობის ზრდამ, მათ შეკავშირებამ ჩვენი ლენინური პარტიის გარშემო.

ჩვენი ყრილობა შეიკრიბა საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის ქვეყნების მთელი თანამეგობრობის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების შემდგომი ზრდის ვითარებაში, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობის, კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის ბრძოლის გაძლიერების, აგრესიის დამანგრეველი ძალების მიმართ ხალხის ფართო მასების სულ უფრო მზარდი წინააღმდეგობის ვითარებაში.

ყრილობის მუშაობას შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს პარტიის ყველა წევრი, ყველა საბჭოთა ადამიანი, ჩვენი საზღვარგარეთელი ძმები რევოლუციურ ბრძოლაში. დელეგატებს აღაფრთოვანებს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ჩვენი დიადი პარტიის შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, იმ ბრძოლის შემდგომი წარმატებებისათვის, რომელსაც ხალხები ეწევიან მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა ღირსეულ წვლილს შეიტანს კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეში, კიდევ ერთხელ ცხადყოფს ურყევ ერთგულებას ჩვენი დიადი რევოლუციური საქმისადმი, ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი.

დელეგატები და სტუმრები ამ სიტყვებს მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ამხ. ბრეჟნევი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე ჩამოვიდნენ დედამიწის ყველა კონტინენტის 86 ქვეყნის კომუნისტური, მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული და მემარცხენე სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები.

XXIII ყრილობის დელეგატებისა და საბჭოთა კავშირის ყველა კომუნისტის სახელით ამხ. ბრეჟნევი დელეგატთა ტაშის გრიალში ძმურად მიესალმა საზღვარგარეთელ სტუმრებს, ჩვენს თანამებრძოლებს ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში, გულითადი მადლობა გადაუხადა მათ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისათვის.

ჩვენს ყრილობაზე მოძმე პარტიების წარმომადგენელთა ჩამოსვლა და მის მუშაობაში მონაწილეობა, ამბობს შემდეგ ამხ. ბრეჟნევი, აღაფრთოვანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტებს მათ შრომასა და ბრძოლაში, ხელს შეუწყობს ჩვენი პარტიების ინტერნაციონალური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას.

ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით მიესალმებიან ყრილობაზე ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს.

ამხ. ბრეჟნევი ამბობს, რომ XXII ყრილობის შემდეგ ჩვენმა პარტიამ დაკარგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე — ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი. 1965 წელს გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ყოფილი წევრი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფროლ რომანის-ძე კოზლოვი.

ამ წლებში მსოფლიო კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ დაკარგა შესანიშნავი მებრძოლები მუშათა კლასის საქმისათვის, ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგები — მორის ტორეზი, პალმირო ტოლიატი, გეორგე გეორგიუ-დეჟი, უილიამ გალაჰერი, ელიზაბეტ გერლი ფლინი, აჯოი კუმარგოში, ოტო გროტევოლი, ალექსანდრე ზავადსკი, დიმიტრი განევი, ლესლი მორისი, კამილ სილვესტრი.

ამ წლების მანძილზე საპყრობილეებში დაიღუპნენ ხალხთა თავისუფლებისათვის სახელოვანი მებრძოლნი ხალამ ადილი, ლუის არიეტა, ხულიან გრიმაუ, ინდონეზიის კომუნისტური პარტიის მთელი რიგი ხელმძღვანელები და ბევრი სხვა მგზნებარე მებრძოლი მუშათა კლასის საქმისათვის, მშრომელი ხალხის საქმისათვის.

ამხ. ბრეჟნევმა დამსწრეთ სთხოვა გარდაცვლილი და დაღუპული ამხანაგების ხსოვნისათვის პატივი ეცათ წუთიერი დუმილით.

ყველანი ფეხზე დგებიან.

შემდეგ დელეგატები შეუდგნენ ყრილობის პრეზიდიუმის, სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიების შექმნას.

ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობის საკითხზე სიტყვა აიღო სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა.

დელეგაციების წარმომადგენელთა საბჭოს დავალებით მან შეიტანა წინადადება აირჩიონ ყრილობის პრეზიდიუმი 75 კაცის შემადგენლობით. პრეზიდიუმი ერთხმად აირჩიეს.

### ყრილობის პრეზიდიუმი:

ალექსანდროვი ა. პ.
ანდროპოვი ი. ვ.
ანტონოვი ს. ა.
ახუნდოვი ვ. ი.
ბოდიული ი. ი.
ბრეჟნევი ლ. ი.
გაგარინი ი. ა.
გალანშინი კ. ი.
გეორგიევი ა. ვ.
გორიაჩევი ფ. ს.
გრიშინი ვ. ვ.
გრომიკო ა. ა.
დეგტიარევი ვ. ი.
დემიჩევი პ. ნ.
ეგორიჩევი ნ. გ.
ეფრემოვი ლ. ნ.
ვაშჩენკო გ. ი.
ვორონოვი გ. ი.
ვოროტნიკოვი ს. ი.
ვოროშილოვი კ. ე.
ზოლოტუხინი გ. ს.
კაზანეცი ი. პ.
კანცერა ვ. ფ.
კაპიტონოვი ი. ვ.
კელდიში მ. ვ.
კირილენკო ა. პ.
კლეპიკოვი მ. ი.
კოკარევი ა. ა.
კონოტოპი ვ. ი.
კოსიგინი ა. ნ.
კულაკოვი თ. დ.
კულიჩენკო ლ. ს.
კუნაევი დ. ა.
კებინი ი. გ.
მაზუროვი კ. ტ.
მალინოვსკი რ. ი.
მალოფეევი პ. რ.
მაშეროვი პ. მ.
მჟავანაძე ვ. პ.
მიქოიანი ა. ი.
მურავიოვა ნ. ა.
ნარკულოვა ზ.
ნიკოლაევი კ. კ.
ნურიევი ზ. ნ.
ოვეზოვი ბ.
პავლოვი ს. პ.
პელშე ა. ი.
პეტროვი ფ. ნ.
პოდგორნი ნ. ვ.
პოლიანსკი დ. ს.
პონომარიოვი ბ. ნ.
რასულოვი დ.
რაშიდოვი შ. რ.
როდიონოვი ნ. ნ.
რუდაკოვი ა. პ.
საბინტაევი ა.
სნეჩკუსი ა. ი.
სოლომენცევი მ. ს.
სმირნოვი ვ. ა.
სუსლოვი მ. ა.
ტაბეევი ფ. ა.
ტოლსტიკოვი ვ. ს.
უსტინოვი დ. თ.
უსუბალიევი ტ.
ფოტიევა ლ. ა.
ქოჩინიანი ა. ე.
შელეპინი ა. ნ.
შელესტი პ. ე.
შვერნიკი ნ. მ.
შიბაევი ა. ი.
შიტიკოვი ა. პ.
შოლოხოვი მ. ა.
შჩერბიცკი ვ. ვ.
ჩერნიშევი ვ. ე.
ხიტროვი ს. დ.

ყრილობის პრეზიდიუმის წევრები იკავებენ თავიანთ ადგილებს. მათ გულთბილად ესალმებიან ყრილობის დელეგატები და სტუმრები.

სიტყვა ეძლევა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. პ. ლიაშკოს.

დელეგაციების წარმომადგენელთა საბჭოს დავალებით მან შემოაქვს წინადადება ყრილობის სამდივნო აირჩიონ 25 კაცის შემადგენლობით. სამდივნოს ერთხმად ირჩევენ.

### ყრილობის სამდივნო:

გოლოვჩენკო ფ. ვ.
გრიშინი კ. ნ.
ელისტრატოვი პ. მ.
ევიშევი ა. ა.
ეფრემოვი მ. ტ.
ეშტოკინი ა. ფ.
ვაჩჩენკო ა. ფ.
კარლოვი ვ. ა.
კატუშევი კ. ფ.
კორიტკოვი ნ. გ.
კრახმალიოვი მ. კ.
ლიაშკო ა. პ.
მანიაკინი ს. ი.
ნოვიკოვი ვ. ნ.
პონომარიოვი მ. ა.
პოპოვი გ. ი.
სემიჩასტნი ვ. ე.
სიზოვი გ. ფ.
სურგანოვი ფ. ა.
ტიტოვი ვ. ნ.
ტოკარევი ა. მ.
შკოლნიკოვი ა. მ.
შჩეტინინი ს. ნ.
ჩერნენკო კ. უ.
ჯავახიშვილი გ. დ.

სიტყვა ეძლევა სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ს. ტოლსტიკოვს.

დელეგაციების წარმომადგენელთა საბჭოს დავალებით მან შემოაქვს წინადადება აირჩიონ ყრილობის სარედაქციო კომისია 19 კაცის შემადგენლობით. სარედაქციო კომისიას ერთხმად ირჩევენ.

### ყრილობის სარედაქციო კომისია:

ბაიბაკოვი ნ. კ.
ბეისებაევი მ.
ბელუხა ნ. ა.
დემენტიევა რ. ფ.
დემჩენკო ვ. ა.
დიმშიცი ვ. ე.
ზიმიანინი მ. ვ.
იგნატოვი ნ. გ.
იასნოვი მ. ა.
კირილინი ვ. ა.
კისილიოვი ტ. ი.
ლომონოსოვი ვ. გ.
ლოშჩენკოვი ფ. ი.
მამბეტოვი ბ.
რომანოვი ვ. ვ.
რიკოვი ვ. ნ.
სტეპაკოვი ვ. ი.
ტოლკუნოვი ლ. ნ.
ტრაპეზნიკოვი ს. პ.

სიტყვა ეძლევა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დ. ა. კუნაევს.

დელეგაციების წარმომადგენელთა საბჭოს დავალებით მას შემოაქვს წინადადება ყრილობის სამანდატო კომისია აირჩიონ 41 კაცის შემადგენლობით. სამანდატო კომისიას ერთხმად ირჩევენ.

### ყრილობის სამანდატო კომისია:

აბდურაზაკოვი მ.
არუთინიანი ნ. ხ.
აცკაროვი ა.
ბუდიონი ს. მ.
გიორგაძე მ. პ.
დანიალოვი ა. დ.
დიორდიცა ა. ფ.
ერმინი ლ. ბ.
ვადერი ა. პ.
ისლიუკოვი ს. მ.
იუნაკი ი. ხ.
კალნბერზინი ი. ე.
კაპიტონოვი ი. ვ.
კოვალენკო ა. ვ.
კოვალი ი. გ.
კოვანოვი პ. ვ.
კონოვალოვი ნ. ს.
კოროტჩენკო დ. ს.
ლესეჩკო მ. ა.
ლუტაკი ი. კ.
მალბახოვი ტ. კ.
მონაშევი ლ. ბ.
ნასრიდინოვა ი. ს.
ნოვიკოვი ი. ტ.
ნოვიკოვი კ. ა.
ოსიპოვი გ. ი.
პავლოვი ვ. ი.
პატოლიჩევი ნ. ს.
პოლიაკოვი ი. ე.
პოპოვი გ. ვ.
როდიონოვი ბ. ა.
სენკინი ი. ი.
სინიცა მ. ს.
სკოჩილოვი ა. ა.
სმირნოვი ა. ი.
სმირნოვი ა. ნ.
სმირნოვი ლ. ვ.
სოკოლოვი ტ. ი.
ტიხონოვი ნ. ა.
ტოკა ს. კ.
შევჩენკო ვ. ვ.

შემდეგ მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.
2. სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. ა. მურავიოვა.
3. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ — მომხსენებელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი.
4. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

სხდომის თავმჯდომარე მ. ა. სუსლოვი სიტყვას სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისათვის აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ბრეჟნევს. დელეგატები და სტუმრები მას მქუხარე ტაშით ხვდებიან.

ამხ. ბრეჟნევის მოხსენება დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს. დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში.

შემდეგ სხდომის დასკვნითი ნაწილის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვა მისცა მის თავმჯდომარეს ამხ. მურავიოვას.

ნ. ა. მურავიოვას მოხსენებით დამთავრდა ყრილობის 29 მარტის სხდომა.

30 მარტს ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას

## ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება 1966 წლის 29 მარტს

ამხანაგებო დელეგატებო!

ჩვენი პარტიის XXII ყრილობიდან XXIII ყრილობამდე განვლილი პერიოდი აღსავსე იყო დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენებით როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ცხოვრებაში. ხელმძღვანელობდა რა პარტიის XX-XXII ყრილობების მიერ განსაზღვრული ხაზით, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მთელი ამ წლების მანძილზე განუხრელად მიჰყავდა საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის გზით. პარტიის მთელი მოღვაწეობის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესრულება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფა, საბჭოთა ადამიანების აღზრდა მაღალი კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით. პარტია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა უზრუნველეყო საბჭოთა ხალხის შრომის მშვიდობიანი პირობები, აქტიურად იბრძოდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განვითარების თვალსაზრისით** განვლილი პერიოდი აღინიშნა მისი რიგების შემდგომი განმტკიცებით, საბჭოთა საზოგადოებაში მისი პოლიტიკური და ორგანიზატორული როლის გაძლიერებით. პარტიაში მტკიცედ დამკვიდრდა პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპები. დღეს პარტიის XXIII ყრილობაზე ჩვენ შეგვიძლია სრული რწმენით ვთქვათ: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კიდევ უფრო ძლიერი და მონოლითური გახდა, მისი კავშირი ხალხთან კიდევ უფრო განმტკიცდა. სხვა მოძმე პარტიებთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აქტიურად იბრძოდა და იბრძვის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცებისათვის მარქს-ენგელს-ლენინის უძლეველი მოძღვრების საფუძველზე, მთელი მსოფლიოს კომუნისტების მოქმედების ერთიანობისათვის საერთო მტრის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის **საშინაო განვითარების თვალსაზრისით** — ეს იყო პერიოდი, როცა საბჭოთა ხალხმა თავდადებული შრომით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამთავრა შვიდწლიანი გეგმის შესრულება. ახალმა მიღწევებმა სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო ძლიერი გახადა ეკონომიურად, პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით. გაუმჯობესდა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა. გრძელდებოდა პროცესი სოციალისტური დემოკრატიის განმტკიცებისა და გაფართოებისა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. კიდევ უფრო განმტკიცდა სოციალისტური წყობილების პოლიტიკური საფუძვლები — მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი, მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, ყველა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, მათი შეკავშირება თავიანთი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გარშემო.

**საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით** პერიოდს, რომელიც გავიდა პარტიის XXII ყრილობის შემდეგ, ახასიათებს საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის მთელი მსოფლიო სისტემის საერთაშორისო გავლენის განუხრელი ზრდა: ახალი გამარჯვებანი ქვეყნების და ხალხებისა, რომლებიც კოლონიური უღლის წინააღმდეგ, თავიანთი დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის იბრძვიან; მუშათა კლასის ბრძოლის აქტივიზაცია კაპიტალის ქვეყნებში; საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარება.

მეორე მხრივ, ამ პერიოდში გრძელდებოდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა ზრდის პროცესი. იმპერიალიზმმა და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურმა წრეებმა არაერთხელ წამოიწყეს თავხედური და პროვოკაციული მოქმედება, სამხედრო ავანტიურებიც კი. ამის შედეგად საერთაშორისო ვითარება გამწვავდა.

მაგრამ იმპერიალიზმის გაძლიერებული აგრესიულობა სრულიადაც არ მოწმობს მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის რაიმე შეცვლას მის სასარგებლოდ. პირიქით, ეს აგრესიულობა ასახავს იმ გაზრდილ სიძნელეებსა და წინააღმდეგობებს, რომლებიც წარმოიშობა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის გზაზე ჩვენს დღეებში. განვლილი წლების ამბებმა კვლავ ცხადყვეს, რომ იმპერიალიზმს, რა მეთოდებსა და საშუალებებსაც უნდა მიმართავდეს, არ ძალუძს შეაჩეროს ისტორიული განვითარების მსვლელობა. თანამედროვეობის რევოლუციური ძალები თავიანთ შეტევას განაგრძობენ. გაძლიერდა ხალხთა ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებდა საერთაშორისო ვითარების მთელ სირთულეს პარტიისა და სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური ხაზის შემუშავებისას, ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებით, იმ მისწრაფებით, რომ უზრუნველეყო კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის მშვიდობიანი პირობები სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ქვეყნებში, არ დაეშვა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება. საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტიის ინტერნაციონალური რევოლუციური მოვალეობით როგორც მოძმე სოციალისტური ქვეყნების წინაშე, ისე ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე.

განვლილი წლების შედეგები ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ხაზი სწორია და მას მხარს უჭერს მთელი საბჭოთა ხალხი. ბრძოლა ამ ხაზის განხორციელებისათვის ჩვენი მთავარი ამოცანაა. კომუნიზმის საქმისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური სოლიდარობისადმი ერთგულება იყო და მუდამ იქნება ჩვენი დიადი ლენინური პარტიის ცხოვრებისა და ბრძოლის კანონი.

# I.

# სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა

## 1. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა მისი ერთიანობისა და ძლიერების განსამტკიცებლად

ამხანაგებო!

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მთელ მრავალფეროვან საგარეოპოლიტიკურ საქმიანობაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზრუნვას სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის, ძლიერებისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა ჩვენ მიგვაჩნია საერთაშორისო მუშათა კლასის უდიდეს ისტორიულ მონაპოვრად, ჩვენი ეპოქის მთავარ რევოლუციურ ძალად, მშვიდობისათვის, ეროვნული თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლ ყველა ხალხთა ყველაზე საიმედო დასაყრდენად. განვლილი წლების მანძილზე სოციალისტური ქვეყნების მსოფლიო სისტემა მნიშვნელოვნად განმტკიცდა, გაიზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, მისი გავლენა კაცობრიობის ბედიღბალზე.

სოციალისტური ქვეყნების **პოლიტიკური თანამშრომლობის დარგში** საანგარიშო პერიოდი ხასიათდება იმით, რომ ამ ქვეყნების მოძმე პარტიების ურთიერთობა ვითარდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და ურთიერთ მხარდაჭერის საფუძველზე, თანასწორუფლებიანობის, ჩაურევლობისა და ურთიერთ პატივისცემის, პარტიათა და სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის პრინციპების შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში ჩვენი ურთიერთობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან, სოციალისტურ სახელმწიფოებთან უდავოდ გამდიდრდა, უფრო მჭიდრო და გულითადი გახდა. ჩვენ კარგი ძმური ურთიერთობა გვაქვს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასთან, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კუბის რესპუბლიკასთან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან, იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასთან.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობის განვითარებაში დიდ როლს ასრულებენ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულებანი. ეს ხელშეკრულებანი მეგობრობის ნამდვილი ქარტიებია, რომლებშიც აისახა მრავალი წლის მანძილზე შეძენილი გამოცდილება, მოძმე ხალხების საბოლოოდ ჩამოყალიბებული და გულთბილი ურთიერთობა, მათი მაღალი ინტერნაციონალური სულისკვეთება. ეს ხელშეკრულებანი კარგად ემსახურებიან და კვლავაც გაუწევენ სამსახურს ჩვენს საერთო რევოლუციურ საქმეს.

სასიამოვნოა აღვნიშნოთ, რომ მოძმე ქვეყნებში განუხრელად მტკიცდება სოციალისტური წყობილება, უფრო სრულყოფილი ხდება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა, იზრდება სოციალისტურ სახელმწიფოთა საერთაშორისო პრესტიჟი.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა განუხრელად მიდის წინ. სოციალისტური მშენებლობის ძირითადი კანონზომიერებანი საერთოა ყველა ქვეყნისათვის, ისინი კარგად არის ცნობილი და შემოწმებულია პრაქტიკით. ამასთან ერთად თავიანთი განვითარების პროცესში სოციალისტური სისტემის ქვეყნები განუწყვეტლივ ხვდებიან ახალ პრობლემებს, რომლებსაც წარმოშობს რეალური ცხოვრება მთელი თავისი სირთულითა და მრავალმხრივობით. ყველა ამ ამოცანის მზამზარეული გადაწყვეტა, ცხადია, არ არის და არც შეიძლება იყოს. ამიტომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარება ყოველთვის მოითხოვს წამოჭრილი საკითხებისადმი შემოქმედებითს მიდგომას მარქსიზმ-ლენინიზმის ნაცად საფუძველზე, მოითხოვს გამოცდილებისა და აზრთა ურთიერთგაზიარებას.

სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიების ხელმძღვანელთა შორის საქმიანი კონტაქტები, პოლიტიკური კონსულტაციები სისტემა გახდა. მარტო წელიწადნახევარში, რამაც ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წელი) პლენუმის შემდეგ განვლო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ცენტრალური კომიტეტის ბევრი წევრი მრავალგზის შეხვდნენ თითქმის ყველა სოციალისტური ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებს, რომლებთანაც მოლაპარაკება და საფუძვლიანი საუბრები ჰქონდათ. ჩვენი მეგობრული შეხვედრები, გულწრფელი საუბრები, აზრთა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება ყოველთვის გამსჭვალულია ამხანაგობის, ღრმა ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით, სოციალიზმის დიადი იდეალებისა და მიზნებისადმი ჩვენი საერთო ერთგულებით.

ასეთი შეხვედრები შესაძლებლობას გვაძლევენ დროულად, უფრო სრულად განვაზოგადოთ და გამოვიყენოთ ყოველივე საუკეთესო, რაც არსებობს თვითეული ქვეყნისა და მთელი სოციალისტური სისტემის პრაქტიკაში, უფრო წარმატებით შევიმუშაოთ ჩვენს ქვეყნებში კომუნიზმისა და სოციალიზმის მშენებლობის პოლიტიკა, ყველაზე სწორი ხაზი საერთაშორისო საქმეებში. ცხოვრება, მთელი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს მეტად საჭირო და სასარგებლო პრაქტიკაა და ჩვენი სურვილია, რომ იგი ყოველნაირად ფართოვდებოდეს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ჩვენ კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობა კიდევ უფრო ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს.

სოციალიზმის ქვეყნების **ეკონომიური თანამშრომლობის დარგში** განვლილი წლების მანძილზე ჩვენი ურთიერთობა წარმატებით ვითარდებოდა და ახალ საფეხურზე ავიდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ეკონომიური ურთიერთობა. არსებითად გაიზარდა საქონელბრუნვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის. მარტო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან საქონელბრუნვა საანგარიშო პერიოდში 5,6 მილიარდი მანეთიდან 8,5 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა. განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირებისათვის ურთიერთხელსაყრელი პირობებით. განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება ჩვენი ხალხების ინტერესების შესაბამისად მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა. სულ უფრო იზრდება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს როლი მისი მონაწილე ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში. ეკონომიური აზრი ახლა ბევრს მუშაობს წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კოოპერირების, სახალხო-სამეურნეო გეგმების უფრო რაციონალური კოორდინაციის პრობლემების გადასაჭრელად. ბევრ მოძმე პარტიასთან ერთად ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ სოციალისტური ქვეყნების ეროვნული ეკონომიკა მხოლოდ ასე შეძლებს ფეხი აუწყოს ჩვენი დროის სწრაფ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას და უზრუნველყოს პირობები კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში შემდგომი წარმატებებისათვის.

სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიკა უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ბურჟუაზიული სამყაროს ქვეყნებისა. საკმარისია ვთქვათ, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სამრეწველო წარმოება 1961-1965 წლებში 43 პროცენტით გადიდდა, კაპიტალისტური სისტემის ქვეყნებში კი — 34 პროცენტით. განსხვავება, როგორც ხედავთ, არსებითია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების ზრდის ციფრები სულაც არ არის ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მაჩვენებელი, როგორც ეს სოციალისტურ ქვეყნებშია, არამედ უწინარეს ყოვლისა მოწმობს მონოპოლიათა მზარდ მოგებას და ეკონომიკის განუხრელ მილიტარიზაციას.

სოციალიზმის ქვეყნები, რომლებიც ინარჩუნებენ და ავითარებენ უპირატესობას ეკონომიური ზრდის ტემპების მხრივ, სულ უფრო ეფექტიანად იყენებენ წარმოების სოციალისტური წესის უპირატესობებს, ამით წყვეტენ თავიანთ ერთ-ერთ პირველხარისხოვან, ნამდვილად რევოლუციურ ამოცანას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ჩვენ კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობა სულ უფრო ფართოვდებოდეს და მტკიცდებოდეს.

**სამხედრო თანამშრომლობის დარგში** იმის გამო, რომ გაძლიერდა იმპერიალისტურ ძალთა აგრესიული მოქმედება ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, მიმდინარეობდა სოციალისტურ ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების პროცესი, ვარშავის პაქტის მექანიზმის განმტკიცებისა და სრულყოფის პროცესი. ვარშავის ხელშეკრულება სოციალიზმის ქვეყნების ხალხთა მონაპოვრების საიმედო ფარია. ამ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების არმიები აღჭურვილი არიან ყველაზე სრულყოფილი იარაღით. სამხედრო წვრთნის ველებზე, ჰაერში და ზღვაზე იხვეწება მოკავშირე სახელმწიფოთა არმიებისა და ჯარების გვარეობათა თანამოქმედება, მოწმდება თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ძლიერება, მტკიცდება ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალთა საბრძოლო ძმობა. თუ საჭირო გახდა, ამ ხელშეკრულების მონაწილეთა შეკავშირებული ოჯახი მრისხანე ძალად აღდგება სოციალისტური წყობილების დასაცავად, ჩვენი ხალხების თავისუფალი ცხოვრების დასაცავად და გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებს ყოველ აგრესორს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ჩვენ კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ მოძმე სოციალისტური ქვეყნების სამხედრო თანამშრომლობა კიდევ უფრო ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს.

ამხანაგებო!

თანამშრომლობა და სოლიდარობა სოციალისტური სისტემის ძალის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ამ თანამშრომლობის განვითარება და გაღრმავება შეესაბამება ცალკე თვითეული ქვეყნისა და საერთოდ სოციალიზმის მთელი მსოფლიო სისტემის ძირეულ ინტერესებს, ხელს უწყობს ჩვენი რიგების შეკავშირებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასეთი შეკავშირება განსაკუთრებით საჭიროა თანამედროვე ვითარებაში, როცა ამერიკელი იმპერიალისტები, აფართოებენ რა თავიანთ აგრესიას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, თავხედურად დაესხნენ თავს სოციალისტურ ქვეყანას — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად იღვწის ყველა სოციალისტური ქვეყნის ღონისძიებათა გაერთიანებისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინონ მებრძოლ ვიეტნამს. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ვიეტნამის ამბებისა და მოძმე ვიეტნამელი ხალხისადმი ჩვენი მხარდაჭერის შესახებ მოგვიანებით მოგახსენოთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი სავსებით უჭერენ მხარს მოძმე კორეელ ხალხს, რომელიც იბრძვის ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კორეის გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე. ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი დარწმუნებული არიან, რომ კორეელი ხალხი გაიმარჯვებს და მთელი კორეა ერთიანი და თავისუფალი იქნება.

რთულ პირობებში იბრძვის და აშენებს სოციალიზმს თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კუბის გმირი ხალხი, ამერიკის იმ პირველი ქვეყნის ხალხი, რომელმაც სოციალისტური რევოლუცია მოახდინა. კუბა მარტო როდია, იგი შედის სოციალისტურ სახელმწიფოთა მძლავრ თანამეგობრობაში, ჩვენი ხალხი სულით და გულით მხარში უდგას კუბელ ხალხს მის ბრძოლაში ახალი საზოგადოების აშენებისათვის. საბჭოთა კავშირი ყოველი ღონისძიებით ეხმარებოდა და კვლავაც დაეხმარება მოძმე კუბას.

როცა ვლაპარაკობთ მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცებაზე, ამასთან უნდა აღვნიშნოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენი ურთიერთობა ორი სოციალისტური ქვეყნის პარტიებთან — ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან და ალბანეთის შრომის პარტიასთან, სამწუხაროდ, კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს გულწრფელად სურთ მეგობრობა სახალხო ჩინეთთან და მის კომუნისტურ პარტიასთან. ჩვენ მზად ვართ გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია სახალხო ალბანეთთან, ალბანეთის შრომის პარტიასთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლადაც.

თქვენ იცით, რომ 1964 წლის ნოემბერში მოსკოვში გაიმართა შეხვედრა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციასთან. უფრო მოგვიანებით ჩვენს დელეგაციას პეკინში საუბარი ჰქონდა ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობასთან. სკკპ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევდა ჩინელ ამხანაგებს გამართულიყო ახალი შეხვედრა უმაღლეს დონეზე მოსკოვში ან პეკინში. ჩვენ ახლაც მიგვაჩნია, რომ ასეთი შეხვედრა სასარგებლო იქნებოდა, და მზად ვართ ყოველ მომენტში ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობასთან ერთად კვლავ განვიხილოთ არსებული უთანხმოებანი, რათა გამოვნახოთ მათი აღმოფხვრის გზები მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი პარტიები, ჩვენი ხალხები გადალახავენ ყველა სიძნელეს და ერთ მწყობრში იდგებიან საერთო დიადი რევოლუციური საქმისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მომავლისთვისაც **პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მიაჩნია მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე სოციალიზმის ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებთან იდეურ-პოლიტიკური ურთიერთობის განვითარება და განმტკიცება, სოციალისტურ სახელმწიფოებთან სსრ კავშირის პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა ურთიერთობის განვითარება და განმტკიცება, სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებისათვის ყოველი ღონისძიებით ხელის შეწყობა, მისი ძლიერებისა და გავლენის განმტკიცება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის მხრივ ყველაფერს იღონებს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, რათა მსოფლიო სოციალისტური სისტემა სულ უფრო მძლავრი ხდებოდეს და გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიდიოდეს.**

## 2. კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგობათა გაღრმავება. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გაშლა

ამხანაგებო!

თავის საგარეოპოლიტიკურ საქმიანობას სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებდა იმ პროცესების გათვალისწინებით, რომლებიც ხდება კაპიტალისტურ სამყაროში. მთლიანად კაპიტალისტური სისტემა საერთო კრიზისს განიცდის, ღრმავდება მისი შინაგანი წინააღმდეგობანი. ცდილობდნენ რა დაეძლიათ ეს წინააღმდეგობანი, გაეძლოთ სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბურჟუაზიული სამყაროს მესვეურნი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდების გამოყენებაზე, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, სამხედრო წარმოების გადიდებაზე. მაგრამ ამან ვერ განკურნა და ვერც განკურნავს კაპიტალიზმს მის ძირეულ მანკიერებათაგან. მიუხედავად იმისა, რომ მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ეკონომიური ზრდის ტემპები ომისშემდგომი წლების მანძილზე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ კაპიტალიზმის ეკონომიკა კვლავ მერყევია. ერთგვარი აღმავლობის პერიოდებს ცვლის დაქვეითებანი. ასეთი მოვლენები ხდებოდა ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თუ ამას დავუმატებთ მზარდ ინფლაციას, სახელმწიფო ვალისა და მოსახლეობის დავალიანების უზარმაზარ ზრდას, ნათელი გახდება: კაპიტალისტური ეკონომიკის ფარული გამანადგურებელი ძალები კვლავ მოქმედებენ, იგი თავიდან ვერ აიცილებს ახალ შერყევებს.

განუხრელად მოქმედებს კანონი კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების შესახებ, მწვავდება წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. მთელი რიგი წლების მანძილზე დასავლეთ ევროპის ქვეყნები და იაპონია უსწრებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკონომიური ზრდის ტემპებით. მაგრამ ამ ბოლო წლებში როლები შეიცვალა. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური ზრდის ტემპები გადიდდა. სამაგიეროდ დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში ეს ტემპები მკვეთრად შემცირდა.

ამით ისარგებლეს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებმა, რომლებმაც კვლავ შეუტიეს მსოფლიო ბაზრებს. ამერიკის კაპიტალმა კვლავ გაძლიერებით დაიწყო შეჭრა იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების მრეწველობაში. მაგრამ ომისშემდგომი პირველი წლებისაგან განსხვავებით ამერიკის მონოპოლიებს ახლა საქმე აქვთ უფრო ძლიერ კონკურენტებთან, რომლებიც სულ უფრო ხშირად საპასუხო დარტყმებს აყენებენ დოლარს.

გამწვავდა კონკურენციული ბრძოლა დასავლეთ ევროპაში, მათ შორის „საერთო ბაზრის“ შიგნით და სხვა სახელმწიფო-მონოპოლისტურ გაერთიანებებში. მიმდინარეობს იმპერიალისტური ბლოკების შერყევის პროცესი იმის შედეგად, რომ მწვავდება წინააღმდეგობა მათ მონაწილეთა შორის. ამერიკის შეერთებულ შტატებს ძველებურად აღარ შეუძლიათ უდირიჟორონ ამ ბლოკებში შემავალ სახელმწიფოთა პოლიტიკას. არც ერთ სერიოზულ პოლიტიკოსს, — რომ აღარა ვთქვათ რა ხალხებზე, — დიდი ხანია აღარა სჯერა მითი „საბჭოთა აგრესიის საფრთხის“ შესახებ, რომლის საშუალებითაც თავის დროზე შეკოწიწდა ეს ბლოკები. სამაგიეროდ ამერიკის აგრესია ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტია. ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებისათვის სულ უფრო ნათელია, თუ რა საშიშია ვაშინგტონის ბრმად აყოლა.

ამრიგად იწყება ახალი წინააღმდეგობანი და მეტოქეობა კაპიტალისტური სამყაროს შიგნით.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ დღევანდელი ბურჟუაზიული სამყაროს ყველაზე მახინჯ მოვლენას — ეკონომიკის მილიტარიზაციას. მშრომელი ადამიანების მიერ შექმნილი ეროვნული სიმდიდრე სულ უფრო მეტად ხმარდება არა ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებას, არამედ სიკვდილის იარაღის წარმოებას. უკვე დაგროვდა იარაღის მთები, და, მიუხედავად ამისა, გამალებული შეიარაღება გრძელდება უმაგალითო ტემპებით, ნთქამს ეროვნული შემოსავლის უდიდეს ნაწილს.

საკმარისია ითქვას, რომ ნატოს არსებობის მანძილზე ამ ბლოკის სამხედრო მანქანის შექმნისა და სრულყოფისათვის ათას მილიარდ დოლარზე მეტი დაიხარჯა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯებმა

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება

(გაგრძელება)

...მის შემდგომი 20 წლის განმავლობაში 48-ჯერ გადაამეტა მეორე მსოფლიო ომის წინა ორი ათეული წლის სამხედრო ხარჯებს. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ბიუჯეტის მთელი ხარჯების სამ მეოთხედზე მეტი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხმარდება სამხედრო მიზნებს.

სამხედრო იარაღის წარმოების ზრდა მთავარ იმპერიალისტურ სახელმწიფოებში სხვა ქვეყნებსაც აიძულებს მნიშვნელოვანი სახსრები ხარჯონ თავიანთი თავდაცვის განმტკიცებისათვის. ეკონომიკის მილიტარიზაცია განუყრელად დაკავშირებულია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის საერთო აგრესიულ კურსთან. მათ სურთ თავიანთ ბატონობას დაუმორჩილონ ბევრი დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღმართონ ჯებირი კაცობრიობის სოციალური პროგრესის გზაზე. ისტორიის მსვლელობა კვლავ და კვლავ ადასტურებს ლენინის აზრს, რომელმაც ამერიკის იმპერიალიზმი დაახასიათა, როგორც მტაცებლური, მძარცველური, ხალხთა საძულველი ჩამხშობი.

კაპიტალიზმის სამყაროში კვლავ მთელი ძალით მოქმედებს კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის. მონოპოლიები ცდილობენ სულ უფრო მეტი ტვირთი დააკისრონ მუშათა კლასსა და მშრომელთა სხვა ფენებს. ექსპლოატაცია არასოდეს არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც ამჟამად. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, საწარმოო ძალების ზრდის ნაყოფი ერთი მუჭა მონოპოლისტთა კუთვნილება ხდება. ხოლო მილიონობით ადამიანი მაღალი კონიუნქტურის პერიოდშიც კი იძულებულია უმუშევარი იყოს. ფართო მასშტაბით წარმოებს გლეხთა გაჩანაგება და მიწიდან განდევნა.

რეალური ფაქტები ამტყუნებენ ცრუ ლეგენდებს ეგრეთწოდებული „სახალხო კაპიტალიზმის", „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" შესახებ, რომლებსაც ავრცელებენ ბურჟუაზიული იდეოლოგები. რა საყოველთაო კეთილდღეობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა, მაგალითად, 1965 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებმა მიიღეს 45 მილიარდი დოლარი წმინდა მოგება, ესე იგი ოთხჯერ მეტი, ვიდრე საშუალოდ წლიწადში მეორე მსოფლიო ომის მანძილზე, ხოლო 32 მილიონი ამერიკელი, როგორც ეს თვით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აღიარა, სიღარიბის პირობებში ცხოვრობს.

მშრომელთა მზარდი ექსპლოატაცია ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას, აძლიერებს სოციალურ შეტაკებებს კაპიტალისტურ საზოგადოებაში. იტალიისა და იაპონიის, საფრანგეთისა და ბელგიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების პროლეტარები შეუპოვარი საგაფიცვო ბრძოლით იგერიებდნენ ამ წლებში მონოპოლიათა შეტევას მათი ცხოვრების დონეზე, და მთელ რიგ შემთხვევებში გამოგლეჯდნენ ხოლმე დათმობებს ბურჟუაზიას. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა და ამჟამად ყოველწლიურად 55-57 მილიონს აღწევს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლების დროს ფართოვდება მუშათა კლასის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნები. იტალიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში, მუშები და მოსამსახურენი სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ პროფკავშირთა მონაწილეობას საწარმოთა მართვაში, ეკონომიკის ძირითადი დარგების ნაციონალიზაციას, ილაშქრებენ ფინანსური კაპიტალის ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ. იაპონიაში მილიონობით მშრომელი მოითხოვს არა მარტო ხელფასის მომატებას, არამედ ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციასაც, იაპონიის ნავსადგურებში ამერიკის შეერთებული შტატების ატომური წყალქვეშა ნავების შესვლის აკრძალვას.

კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატი თავისი ავანგარდის—კომუნისტური პარტიების მეთაურობით აქტიურად იბრძვის ომის თავიდან აცილებისათვის, იმპერიალისტთა კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, იმ ხალხთა დასაცავად, რომლებიც იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლი გახდნენ. საფრანგეთის მუშათა კლასისა და მთელი მემარცხენე ძალების დიდმა წარმატებებმა, რომლებიც მოპოვებულია უკანასკნელი დროის პოლიტიკური ბრძოლით, მკაფიოდ გვიჩვენეს, თუ რა მზარდ გავლენას ახდენენ ისინი საფრანგეთის მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მასების პოლიტიკური სიმწიფის ზრდაზე. იტალიის მუშათა კლასი, რომელიც პროგრესული ძალების ფართო ფრონტს მეთაურობს, ფუშავს რეაქციის ცდებს ხელყოს ხალხის დემოკრატიული მონაპოვარნი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ წლების მანძილზე უაღრესად გაძლიერდა ბრძოლა ოცმილიონიანი ზანგი მოსახლეობის რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, მისი მოქალაქეობრივი უფლებებისათვის. ძლიერდება ამერიკელი ხალხის ფართო მასების პროტესტი ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის გარშემო სულ უფრო ირაზმებიან სხვა სოციალური ფენები, რომლებიც მონოპოლიათა ბატონობის წინააღმდეგ იბრძვიან, — გლეხობის ძირითადი მასები, გონებრივი შრომის მუშაკები. მიმდინარეობს ფართო, ანტიმონოპოლისტური ფრონტის ჩამოყალიბება. ეს პროცესი ხელს უწყობს მასების შემდგომ შეკავშირებას, მათი ბრძოლის გაშლას საბოლოო მიზნისათვის — საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის, სოციალიზმისათვის.

კაპიტალიზმისათვის დგება სულ უფრო ძნელი დრო. სულ უფრო ნათელია, რომ იგი განწირულია. მაგრამ კაპიტალისტები ნებაყოფლობით არასოდეს არ იტყვიან უარს თავიანთ ბატონობაზე. მუშათა კლასი და მშრომელთა მასები გამარჯვებას მხოლოდ შეუპოვარი კლასობრივი ბრძოლებით მოიპოვებენ.

ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობას სერიოზული სიძნელეების გადალახვა და მძიმე ბრძოლების წარმოება უხდება. კვლავაც მას არაერთი ასეთი ბრძოლა მოელის.

საბჭოთა ქვეყნის კომუნისტები და მთელი ხალხი მხურვალე სოლიდარობას უცხადებენ ბურჟუაზიული ქვეყნების მშრომელთ. საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებს იმის შეგნება, რომ საბჭოთა ქვეყნისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მუშათა კლასის მონაპოვარნი ეხმარებიან ჩვენს კლასობრივ ძმებს მამაცურ ბრძოლაში თავიანთი უფლებებისათვის, თავიანთი შვილების მომავლისათვის, ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის.

## 3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის ბრძოლაში

ამხანაგებო!

ასი წლის წინათ, როცა მარქსმა და ენგელსმა მეცნიერული კომუნიზმის დროშა აღმართეს, მათ მიერ შექმნილ მსოფლიოში პირველ „კომუნისტთა კავშირში" მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცი ირიცხებოდა. იმ დროებაში მსოფლიომ გაიგონა ამაყი, ღრმა აზრით აღსავსე სიტყვა კომუნისტი. ეს სიტყვა გაისმა, რომ არასდროს აღარ გამქრალიყო, რადგან მასშია უდიდესი სიმართლე, მილიონობით და მილიონობით მშრომელი ადამიანის ცხოვრების უდიდესი აზრი.

ნახევარი საუკუნის წინათ, როცა ჩვენმა პარტიამ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხელმძღვანელობით დარაზმა ხალხი კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მსოფლიოში 400 ათასი კომუნისტი იყო. ამჟამად ყველა კონტინენტის 88 კომუნისტური პარტია თითქმის 50 მილიონ მებრძოლს აერთიანებს.

რა არის კომუნისტთა რიგებისა და მათი გავლენის განუწყვეტელი ზრდის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ კომუნისტები ყველაზე სრულად გამოხატავენ მშრომელთა ძირეულ ინტერესებს. მუშათა კლასის საქმისადმი უანგარო ერთგულება, ცოცხალი, განუწყვეტელი კავშირი ხალხთან, მისი რევოლუციური გამოცდილების განუწყვეტელი შესწავლის უნარი, უნარი სათავეში ჩაუდგნენ მასებს და უშიშრად წაიყვანონ ისინი საბრძოლველად — აი კომუნისტთა ძალის წყაროები.

კომუნიზმი მსოფლიოს ერთადერთი პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც შეიარაღებულია რა საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული თეორიით, ნათლად ხედავს კაცობრიობის ისტორიულ პერსპექტივებს. კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზი, რომელიც კოლექტიურად შეიმუშავეს მოძმე პარტიებმა 1957 და 1960 წლების თათბირებზე, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვების ხაზია. იგი მთელი კაცობრიობის ინტერესებს შეესაბამება. მის საფუძველზე უკანასკნელ წლებში კომუნისტური პარტიების უმრავლესობამ მიიღო ახალი საპროგრამო დოკუმენტები, რომლებიც ითვალისწინებენ, როგორც ეროვნულ, ისე ინტერნაციონალურ ინტერესებსა და ამოცანებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობა ამ წლების განმავლობაში გამსჭვალული იყო მუდმივი მისწრაფებით — განამტკიცებდეს კავშირსა და ძმურ სოლიდარობას სხვა კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან, მათთან ერთად იბრძოდეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის.

1960 წლის შემდეგ კომუნისტთა რიცხვი მთელ მსოფლიოში 14 მილიონი კაცით გაიზარდა. კიდევ უფრო განმტკიცდა მათი კავშირი მასებთან. საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ თავისი პოზიციები განამტკიცა როგორც თანამედროვეობის ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალამ.

უდიდეს შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან **სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიები.** ისინი წყვეტენ ეკონომიკის განვითარების, ახალი სოციალური ურთიერთობის, მასების კომუნისტური აღზრდის რთულ ამოცანებს, იცავენ სოციალისტურ მონაპოვრებს. ეს ისტორიული მნიშვნელობის მუშაობაა. იგი განამტკიცებს სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციებს, ზრდის მისი იდეების მიმზიდველ ძალას მთელ მსოფლიოში.

**კაპიტალის ქვეყნების კომუნისტური პარტიები** მეთაურობენ მასების ბრძოლას მონოპოლიების წინააღმდეგ, კლასობრივ ბრძოლებში ჭედავენ რევოლუციის პოლიტიკურ არმიას. ბევრ ამ ქვეყანაში ამჟამად კომუნისტური პარტიები დიდ გავლენას ახდენენ მთელ ეროვნულ ცხოვრებაზე. კომუნისტები მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, მოწინავე ინტელიგენციის საუკეთესო შვილები არიან. მათი წრიდან გამოდიან უდიდესი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, მშრომელთა საქმისათვის თავდადებული მებრძოლები. კომუნისტები არიან კაპიტალისტური ქვეყნების მრავალი პროფკავშირის, მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები; კომუნისტები არიან პარლამენტთა წევრები, ბევრი ქალაქისა და სოფლის მერები; კომუნისტები არიან პუბლიცისტები და მეცნიერები, მწერლები და მასწავლებლები; კომუნისტები სათავეში უდგანან პარტიზანულ რაზმებსა და რევოლუციონერთა არალეგალურ ჯგუფებს იმ ქვეყნებში, სადაც წარმოებს შეიარაღებული ბრძოლა ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ. ყოველივე ეს პრაქტიკული გამოხატულებაა კომპარტიების მზარდი გავლენისა, ხალხის მასებთან მათი განუყრელი კავშირისა.

საფრანგეთსა და იტალიაში, ფინეთსა და ბელგიაში, ინგლისსა და ავსტრიაში, დანიაში და კვიპროსზე, ავსტრალიასა და კანადაში, ინდოეთში და ცეილონზე, სირიასა და ერაყში, სუდანსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ჩილისა და ურუგვაიში, არგენტინასა და კოლუმბიაში, ბრაზილიასა და ეკვადორში, მექსიკასა და გვატემალაში და სხვა ქვეყნებში — ყველგან, სადაც კი კომპარტიები არსებობს, ისინი შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან მასებზე გავლენის გაფართოებისათვის, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ინტერესებისათვის. კომუნისტები თავიანთი მოქმედებით ხალხის მასების სულ უფრო მეტ სიმპათიებს იხვეჭენ. ევროპასა და ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში კომუნისტური პარტიები იქცა დიდ პოლიტიკურ ძალად.

კომუნისტები არიან ყველაზე აქტიური მებრძოლნი მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის. ამ ბოლო დროს გარკვეული წარმატებებია მოპოვებული ამ ერთიანობისათვის ბრძოლაში, თუმცა ამ საქმეში ჯერ კიდევ დიდი სიძნელეებია. ამ სიძნელეებისათვის პასუხისმგებლობა უწინარეს ყოვლისა ეკისრებათ სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერებს. მაგრამ მუშათა მოძრაობის ჭეშმარიტ ინტერესებს ეს ლიდერები როდი გამოხატავენ. მუშათა კლასი სულ უფრო ნათლად ხედავს საშიშროებას, რასაც შეიცავს სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერების პოლიტიკა, რომლის მიზანია კაპიტალიზმის დაცვა, მუშათა მოძრაობის გათიშვის შენარჩუნება. მშრომელთა მასები თავიანთი გამოცდილებით სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ მხოლოდ გაერთიანებული მეცადინეობით შეიძლება მიაღწიონ რეალურ წარმატებებს მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში. მუშათა კლასი ესწრაფვის თავისი რიგების შეკავშირებას, და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მიაღწევს მას.

იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მსხვრევამ და მსოფლიო ასპარეზზე ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დიდი ჯგუფის გამოსვლამ ახალი ამოცანები დაუსახა **კომუნისტურ მოძრაობას აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში.** ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ქარცეცხლში შობილი ეს მოძრაობა კიდევ უფრო ძლიერდება მათი დაგვირგვინებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ძნელი და ეკლიანია კომუნისტების გზა კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებში, რომლებსაც თვალთმაქცურად უწოდებენ „თავისუფალს". კომუნისტური მოძრაობის ყოველი ნაბიჯი აქ მოპოვებულია მკაცრ ბრძოლაში გამოცდილი, ვერაგი და სასტიკი მტრის წინააღმდეგ. ჩვენს პარტიას, რომელმაც განვლო სახელოვანი გზა XIX საუკუნის დამლევის პირველი არალეგალური მარქსისტული წრეებიდან და 1905 წლის ბარიკადული ბრძოლებიდან დიდი ოქტომბრის რევოლუციურ ბრძოლებამდე და სოციალიზმის გამარჯვებამდე, სავსებით აქვს შეგნებული, თუ რა დიდ ვაჟკაცობას, შეუპოვრობასა და გმირობას მოითხოვს კომუნისტებისაგან ხალხის საქმისათვის ბრძოლა მტრის განუწყვეტელი იერიშების პირობებში. უკვე მრავალი წელია არალეგალურად მუშაობენ ესპანეთის, პორტუგალიის, საბერძნეთის, დასავლეთ გერმანიის, ვენესუელის, პერუს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების კომპარტიები. უძნელეს პირობებში მამაცურად იბრძვის ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია, რომელსაც ძალადობის გიგანტური პოლიტიკური მანქანის მოგერიება უხდება და ბურჟუაზიის მიერ დაქირავებულ ანტიკომუნიზმის იდეოლოგთა გამუდმებულ დევნას განიცდის.

ბურჟუაზიული რეაქცია, რომელსაც ძალა არ შესწევს დაამარცხოს კომუნისტები იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში, ადგება კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ ტერორის, მშრომელი ხალხის ერთგულ შვილთა ფიზიკურად მოსპობის გზას.

მთელი ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ხალხი დიდი აღშფოთებით გმობენ ანტიკომუნისტურ ტერორს ინდონეზიაში. ამ ქვეყნის რეაქციული ძალები გაუსამართლებლად და გამოუძიებლად მხეცურად გაუსწორდნენ ათეულ ათასობით ადამიანს, რომელთა ერთადერთი „დანაშაული" მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ. კომუნისტური პარტიის დევნა და აკრძალვა ლახვარს სცემს ინდონეზიის რევოლუციური ძალების ერთობას, ძირს უთხრის ანტიიმპერიალისტურ ფრონტს, დიდ ზიანს აყენებს ჩვენი მეგობარი ინდონეზიელი ხალხის ინტერესებს. მოვითხოვთ ბოლო მოეღოს ინდონეზიის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის გმირი მებრძოლების — კომუნისტების დანაშაულებრივ ხოცვა-ჟლეტას.

უკანასკნელ წლებში ჯალათებმა კომუნისტურ რიგებს ბევრი გამოჩენილი მოღვაწე გამოსტაცეს. პოლიციის დილეგებში წამებით დახოცეს ყველა ქვეყნის ხალხთა ბედნიერებისათვის, სოციალიზმისათვის ბევრი შესანიშნავი მებრძოლი. ეს ადამიანები უკვდავნი არიან, ისინი თაობათა გულში იცოცხლებენ.

ვერავითარი წამება, რეაქციის ვერავითარი ტერორი ვერ გატეხს კომუნისტებს. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი მოძრაობა წარმოშობს შესანიშნავ გმირებს, იძლევა იდეურობის, მოქალაქეობრივი და პირადი მამაცობის თვალსაჩინო ნიმუშებს.

ამხანაგებო!

კომუნისტური მოძრაობის წარმატებანი უდავოა. მაგრამ კომუნისტები საღად აფასებენ ვითარებას. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გვასწავლიდა, რომ აღვნუსხოთ არა მარტო გამარჯვებანი, არამედ წარუმატებლობანიც, რათა სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.

კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობა დიდი, რთული ხელოვნებაა. ჩვენს დროში კი, შესაძლოა, უფრო რთულია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მეტად მრავალფეროვანია პირობები, რომლებშიც მოძმე პარტიები იბრძვიან. რევოლუციურ ბრძოლაში ებმებიან ახალი სოციალური ფენები, მთელი ხალხები. მათ სხვადასხვა ტრადიციები, სხვადასხვა ეკონომიური პირობები, ბრძოლის სხვადასხვა გამოცდილება აქვთ. ყოველივე ეს თავის ნიშანს ასვამს კომპარტიათა საქმიანობასაც.

უკანასკნელი წლების რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ წარმატებას აღწევენ ის პარტიები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სტრატეგიისა და ტაქტიკის პრაქტიკით გამოცდილი და შემოწმებული ლენინური პრინციპებით, ითვალისწინებენ რეალურ ვითარებას. ცხოვრება გვასწავლის, რომ მარქსისტულ-ლენინური გზიდან გადახვევა როგორც მარჯვნივ, ისე „მარცხნივ", განსაკუთრებით საშიში ხდება, როცა იგი შეხამებულია ნაციონალიზმისა, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ჰეგემონიზმის გამოვლინებებთან. კომუნისტებს არ შეუძლიათ არ გამოიტანონ აქედან სათანადო დასკვნები.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა უკანასკნელ წლებში სერიოზულ სიძნელეებს წააწყდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიცია ამ საკითხზე კარგად არის ცნობილი ყრილობის დელეგატებისათვის. ჩვენ დიდ სინანულს გამოვთქვამთ იმის გამო, რომ დღემდე დაძლეული არ არის უთანხმოებანი, რომლებითაც სარგებლობას პოულობენ მხოლოდ ჩვენი საერთო მოწინააღმდეგენი. ჩვენი აზრით, ეს არ შეესაბამება არც ერთი მოძმე პარტიის ინტერესებს, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საერთო ინტერესებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ ყველა კომუნისტის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ჩვენი მოძრაობის რიგების შეკავშირებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ რაც უფრო მტკიცეა კომუნისტური მოძრაობის ყველა რაზმის სოლიდარობა, მით უფრო ძლიერია საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური ფრონტი, მით უფრო წარმატებით განვითარდება მსოფლიო რევოლუციური პროცესი.

კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების რა კონკრეტულ გზებს ხედავს ჩვენი პარტია თანამედროვე ვითარებაში?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზრით, კომუნისტური რიგების შეკავშირებისათვის არის კარგი მარქსისტულ-ლენინური პლატფორმა — გენერალური ხაზი, რომელიც მოძმე პარტიების თათბირებმა შეიმუშავეს 1957 და 1960 წლებში. ცხოვრებამ უაღრესად ზედმიწევნით გამოსცადა იგი, და ეს გამოცდა მან ჩააბარა. დღეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამ ხაზისადმი ერთგულება რევოლუციური მოძრაობის ერთიანობისა და ახალ წარმატებათა უზრუნველყოფის საიმედო გარანტიაა.

ერთიანობის განმტკიცება მოითხოვს, რომ პარტიებმა დაიცვან მათ შორის ურთიერთობის კოლექტიურად შემუშავებული ნორმები — სრული თანასწორუფლებიანობა და დამოუკიდებლობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ურთიერთ დახმარება, ინტერნაციონალური სოლიდარობა. კომუნისტურ პარტიებს რევოლუციური მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, და არავის არ შეუძლია თვითონ მათზე უკეთ გამონახოს წარმოშობილი პრობლემების სწორი გადაჭრის გზები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წინააღმდეგია ყოველგვარი ჰეგემონიზმისა კომუნისტურ მოძრაობაში, იღწვის ყველა პარტიას შორის ნამდვილი ინტერნაციონალისტური თანასწორუფლებიანი ურთიერთობისათვის.

ჩვენს პარტიას, ისევე, როგორც სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს, მიაჩნია, რომ მაშინაც კი, როცა უთანხმოება არსებობს, შეიძლება და საჭიროა მივაღწიოთ ყველა ქვეყნის კომუნისტთა მოქმედების ერთიანობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებისათვის, მისი აგრესიული აქციებისადმი წინააღმდეგობის გასაძლიერებლად, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ბრძოლა ვიეტნამში ამერიკის აგრესიის შეწყვეტისათვის, აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის პროგრესული ძალებისადმი დახმარება იმპერიალიზმის ხელყოფის წინააღმდეგ, ჩვენი კომუნისტი ძმების დაცვა რეაქციის ტერორისაგან მთელ რიგ ქვეყნებში — ჩვენი დროის ეს და სხვა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები ანტიიმპერიალისტური ბრძოლისა მით უფრო წარმატებით გადაიჭრება, რაც უფრო შეკავშირებული იქნება კომუნისტთა მსოფლიო არმია.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების საქმეს კარგი სამსახური გაუწია კომპარტიების წარმომადგენელთა თათბირებმა და შეხვედრებმა, რომლებიც ამ უკანასკნელ პერიოდში გაიმართა. ჩვენი პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამგვარ კონტაქტებს. მარტო უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში ჩვენში მოეწყო შეხვედრები 60 მოძმე პარტიის ორასზე მეტ დელეგაციასთან. მრავალმხრივი და ორმხრივი შეხვედრების შემდგომი მოწყობა, გამოცდილების მუდმივი ურთიერთგაზიარება, აქტუალური ამოცანების ამხანაგური განხილვა სწორი და სასარგებლო პრაქტიკაა მოძმე პარტიების ურთიერთობაში და ამავე დროს კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების კარგი გზაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სავსებით იზიარებს და მხარს უჭერს მოძმე პარტიების წინადადებას, რომ კომუნისტთა ინტერნაციონალური ერთიანობის, ცხოვრების მიერ წამოყენებული ახალი პრობლემების კოლექტიური განხილვის დიდმნიშვნელოვანი და ნაცადი ფორმაა კომპარტიების საერთაშორისო თათბირი. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ახალი თათბირის მოწვევა, როცა ამისათვის პირობები მომწიფდება.

ფაქტები ადასტურებენ, რომ კომპარტიების დიდი უმრავლესობა მტკიცედ იცავს საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლუციური ავანგარდის ინტერნაციონალურ შეკავშირებას. ყველა რევოლუციური რაზმის ძირეული ინტერესების ობიექტური ერთობა — აი საფუძველი, რომელზეც შენდება და მტკიცდება კომუნისტთა ერთობა. დღეს ჩვენს ყრილობაზე ერთხელ კიდევ ვიმეორებთ მოწოდებას: უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ რიგები საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად!

ამხანაგებო!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ ერთგულია თავისი ინტერნაციონალური რევოლუციური მოვალეობისა. ჩვენი ყრილობის ტრიბუნიდან სიტყვას ვაძლევთ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წარმომადგენლებსა და მათი სახით მთელი მსოფლიოს კომუნისტებს:**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად იბრძოლებს ყველა მოძმე პარტიის ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცებისათვის მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრების საფუძველზე, იმ გზის საფუძველზე, რომელიც კოლექტიურად შეიმუშავა მსოფლიო კომუნისტურმა მოძრაობამ.

ჩვენ კვლავაც ვაწარმოებთ შეურიგებელ ბრძოლას რევიზიონიზმის, დოგმატიზმის წინააღმდეგ, ნაციონალისტურ გამოვლინებათა წინააღმდეგ, ვიბრძოლებთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი განვითარებისათვის.

ჩვენი პარტია კვლავაც განახორციელებს იმ ხაზს, რომ მთელი მსოფლიოს კომპარტიები ერთად მოქმედებდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიადი მიზნებისათვის — მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

## 4. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება. ჩვენი პარტია მხარს უჭერს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას

ამხანაგებო!

მთელი ამ წლების მანძილზე სკკპ ცენტრალური კომიტეტი თანმიმდევრულად ახორციელებდა კურსს, რომელიც გულისხმობს: კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის ყოველი ღონისძიებით მხარდაჭერას, განთავისუფლებულ სახელმწიფოებთან ყოველმხრივ თანამშრომლობას თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის მტკიცე პატივისცემის, მათს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

განვლილ წლებში ეროვნული განთავისუფლების საქმემ მნიშვნელოვნად წაიწია წინ. მსოფლიოს რუკაზე გაჩნდა კიდევ 17 დამოუკიდებელი სახელმწიფო. მათ შორის — ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, კენია, უგანდა, ტანზანია, ზამბია და სხვები. ახლა

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება

(გაგრძელება)

უკვე თითქმის მთელმა აზიამ და აფრიკამ მოიხსნა კოლონიური მონობის უღელი. ეს ხალხთა დიდი მონაპოვარია მათს განმათავისუფლებელ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ მსოფლიოში დღესაც არიან ქვეყნები, სადაც იმპერიალისტები იარაღის ძალით ცდილობენ შეინარჩუნონ სამარცხვინო კოლონიური წყობილება. ანგოლასა და მოზამბიკში, „პორტუგალიის" გვინეასა და სამხრეთ არაბეთში პატრიოტები გმირულად იბრძვიან უცხოელი დამმონებლებისა და დამპყრობლების წინააღმდეგ. ფართოვდება ხალხთა მასების წინააღმდეგობა რასისტული რეჟიმებისადმი სამხრეთ აფრიკასა და სამხრეთ როდეზიაში. ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი აქტიურად უჭერენ მხარს ამ ბრძოლას, რეალურ ყოველმხრივ დახმარებას უწევენ და კვლავაც გაუწევენ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ მტკიცედ ვიცით: შორს აღარ არის ის დღე, როცა მოისპობა კოლონიალიზმის უკანასკნელი კერები და განთავისუფლებულ მიწაზე ხალხები ეროვნული თავისუფლების დროშასააფრიალებენ. ეს ისტორიის განაჩენია და იგი გარდუვალია.

იმ ქვეყნების ხალხები, რომლებმაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს, იბრძვიან იმისათვის, რომ აღმოფხვრან კოლონიზატორთა ბატონობის მძიმე შედეგები. ამ ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრე ძალიან დიდია. ამავე დროს ერთ სულ მოსახლეზე წარმოების დონის მხრივ ისინი ჯერ კიდევ 20-40-ჯერ ჩამორჩებიან ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებს. მაგრამ ხალხებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლო მოუღონ საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას.

განთავისუფლებულ ქვეყნებში ახალი ცხოვრება შენდება იმპერიალიზმთან სასტიკ ბრძოლებში, ამ ქვეყნების პროგრესის ძალებსა და რეაქციის ძალებს შორის მძაფრ ბრძოლაში. ზოგი სოციალური ფენები, რომლებსაც იმპერიალიზმი უჭერს მხარს, ცდილობენ განთავისუფლებული ქვეყნების განვითარება წარმართონ კაპიტალისტური გზით. სხვა ფენები, რომლებიც ხალხის უმრავლესობის ინტერესებს გამოხატავენ, იბრძვიან იმისათვის, რომ განვითარება წარიმართოს სოციალური პროგრესისა და ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობის გზით.

ცხოვრება ცხადყოფს, რომ ბრძოლა სოციალური პროგრესისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მით უფრო წარმატებით მიმდინარეობს, რაც უფრო მტკიცეა განთავისუფლებული ქვეყნების მთელი პატრიოტული, პროგრესული, დემოკრატიული ძალების შეკავშირება. ამ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტები — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლები. სადაც ეს ავიწყდებათ და კომუნისტებს დევნიან კიდეც, იქ, უთუოდ, ზიანს აყენებენ ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და თავისუფლების საქმეს.

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ბევრი განთავისუფლებული ქვეყანა დღესაც განიცდის ეკონომიურ ექსპლოატაციასა და პოლიტიკურ ზეგავლენას იმპერიალიზმის მხრივ, რომელიც ვერ შეურიგდა თავის დამარცხებებს. იმპერიალიზმი ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს ხალხთა ექსპლოატაციის შესაძლებლობა და ახალი, უფრო ვერაგული მეთოდებით მოქმედებს.

კაპიტალისტური მონოპოლიები, რომლებიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად უწევენ კონტროლს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის ეკონომიკასა და რესურსებს, კვლავ უწყალოდ ძარცვავენ მათ. ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები მარტო კაპიტალურ დაბანდებებზე მოგების გზით ამჟამად ამ ქვეყნებიდან დაახლოებით 6 მილიარდ დოლარს იღებენ წელიწადში.

ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, იმპერიალისტები ცდილობენ გამოიყენონ განთავისუფლებული ქვეყნების შინაგანი წინააღმდეგობანი. ისინი პროვოკაციულად იწვევენ ცალკეული საზოგადოებრივ, ეროვნული და ტომობრივი ჯგუფების შეტაკებებს, ცდილობენ ერთმანეთს დაუპირისპირონ სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწეები, ხელისუფლების სათავეში დააყენონ ყველაზე რეაქციული და მოღალატე წრეების წარმომადგენლები, რომელთა კეთილდღეობა აგებულია უცხოეთის კაპიტალთან ურთიერთობასა და თანამშრომლობაზე. ზოგიერთ ქვეყანაში იმპერიალისტები ამყარებენ ხალხის საწინააღმდეგო რეჟიმებს, რომელთა წარმომადგენლები იმასაც კი არ ერიდებიან, რომ საერთაშორისო ასპარეზზეც იმპერიალიზმის უშუალო ხელშემწყობთა როლი შეასრულონ,

იმპერიალისტები ანგარიშს არ უწევენ განთავისუფლებული ქვეყნების სახელმწიფო სუვერენიტეტს. ისინი ცინიკურად აცხადებენ პრეტენზიას იმის „უფლებაზე", რომ იარაღით ხელში ჩაერიონ სხვა ხალხთა საშინაო საქმეებში. ამის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის რეზოლუცია ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეებში შეიარაღებული ჩარევის შესახებ, რომელიც ამას წინათ მიიღეს და რომელმაც მთელი მსოფლიო აღაშფოთა. არსებითად ეს არის ცდა დააკანონონ იმპერიალისტთა ისეთი აგრესიული მოქმედება, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატების ამასწინანდელი შეიარაღებული ინტერვენცია დომინგოს რესპუბლიკაში.

ყოველივე ეს ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკის გამოვლინებაა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მთელ პროგრესულ კაცობრიობას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია. ეჭვი არ არის, რომ ხალხები, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზას დაადგნენ, გამარჯვებამდე იბრძოლებენ და საკადრის პასუხს გასცემენ ყველას, ვინც კვლავ შეეცდება მათს დამონებას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს შეუძლია კმაყოფილებით მოახსენოს ყრილობას, რომ განვლილი წლების მანძილზე ჩვენი ურთიერთობა აზიისა და აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობასთან წარმატებით ვითარდებოდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სსრ კავშირისა და ამ სახელმწიფოების ვაჭრობა, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა. ჩვენი საპროექტო ორგანიზაციების დახმარებით, საბჭოთა მშენებელ-სპეციალისტთა მონაწილეობით აზიისა და აფრიკის ქვეყნებში შენდება 600-მდე სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ობიექტი. ბევრ ამ ქვეყანაში, ჯუნგლებსა და მზით დამწვარ უდაბნოებში მუშაობენ საბჭოთა გეოლოგიურ-სადაზვერვო პარტიები, რომლებიც ახალგაზრდა სახელმწიფოებს ეხმარებიან იმაში, რომ აღმოაჩინონ თავიანთი წიაღისეულის სიმდიდრენი და მოახმარონ ისინი ეროვნულ ეკონომიკას.

საბჭოთა კავშირის დახმარებით ამ ქვეყნებში აშენდა და შენდება 100-ზე მეტი სასწავლებელი და სამედიცინო დაწესებულება, მეცნიერული ცენტრი. ამ ბოლო ხუთ წელიწადში თითქმის ერთიორად გაიზარდა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტების რიცხვი, რომლებიც საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლობენ. განვლილ პერიოდში ოთხჯერ გაიზარდა საბჭოთა მასწავლებლების, ექიმებისა და კულტურის სხვა დარგების სპეციალისტთა რიცხვი, რომლებიც ახლა აზიისა და აფრიკის 28 ქვეყანაში მუშაობენ. საბჭოთა ადამიანები იქ თავდადებით, სულითა და გულით მუშაობენ, ძალღონეს არ იშურებენ. მათ დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში. ყოველივე ეს საქმით ადასტურებს საბჭოთა ხალხის პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო ყველა ღონისძიებით უჭერენ მხარს განთავისუფლებულ ქვეყნებს საერთაშორისო ასპარეზზეც. სსრ კავშირი აქტიურად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ იმპერიალისტები ჩაერიონ ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, ნეოკოლონიზატორთა ცდის წინააღმდეგ ერთმანეთს წაჩხუბონ დამოუკიდებელი სახელმწიფოები და დაასუსტონ ისინი ძმათაშორის ბრძოლაში. ბევრ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხში ჩვენ წარმატებით ვთანამშრომლობთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან. ჩვენ კვლავაც განვავითარებთ ამ თანამშრომლობას პროგრესისა და მშვიდობის ინტერესებისათვის.

ამხანაგებო! ამ ბოლო წლების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რომ მთელი რიგი ახალგაზრდა განთავისუფლებული ქვეყნები დაადგნენ პროგრესული სოციალური განვითარების გზას. ამან პრაქტიკით დაადასტურა კომუნისტური და მუშათა პარტიების 1960 წლის მოსკოვის თათბირის დასკვნა. თათბირის განცხადებაში ნათქვამია: ხალხის მასები „რწმუნდებიან, რომ საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საუკეთესო გზა არაკაპიტალისტური განვითარების გზაა. მარტო ამ გზით შეძლებენ ხალხები ექსპლოატაციის, სიღატაკისა და შიმშილის თავიდან აცილებას".

ისეთ ქვეყნებში, როგორიც არიან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ალჟირი, მალი, გვინეა, ბრაზავილის კონგო, ბირმა განხორციელდა სერიოზული სოციალური გარდაქმნანი. იქიდან უცხოეთის მონოპოლიებს აძევებენ. ხდება ფეოდალთა მამულების კონფისკაცია და კაპიტალისტურ საწარმოთა ნაციონალიზაცია. ვითარდება სახელმწიფო სექტორი ეკონომიკაში, ხორციელდება ინდუსტრიალიზაცია, ფართო სოციალური კანონმდებლობა ხალხის ინტერესების შესაბამისად. რასაკვირველია სხვადასხვა ქვეყნებში ეს პროცესები სხვადასხვაგვარად, სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა სიძლიერით მიმდინარეობს. იმ ხალხების რევოლუციურ შემოქმედებას, რომლებმაც თავიანთ მიზნად სოციალიზმის მშენებლობა გამოაცხადეს, თავისებურება შეაქვს სოციალური პროგრესის გზით წინსვლის ფორმებში.

ახალგაზრდა სახელმწიფოებთან, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ, ჩვენ მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. და ბუნებრივია, რომ რაც უფრო წინ მიდიან ეს სახელმწიფოები არჩეული მიზნისაკენ, მით უფრო მრავალმხრივი, ღრმა და მტკიცე ხდება ჩვენი და მათი ურთიერთობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ურთიერთობას ამყარებს აგრეთვე ამ ქვეყნების რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიებთან.

სოციალური პროგრესის გზაზე მდგომ განთავისუფლებულ სახელმწიფოთა განვითარება იწვევს იმპერიალისტთა განსაკუთრებულ სიძულვილს, რომლებიც მათ წინააღმდეგ შეთქმულებათა ქსელს ხლართავენ. ამ ბოლო დროს მომხდარი ამბები მოწმობს, რომ გაძლიერდა რეაქციულ ძალთა აქტივობა აფრიკის კონტინენტზე. აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში გამოამჟღავნეს და ჩაფუშეს იმპერიალისტური შეთქმულებანი. იმპერიალისტთა ინტრიგებსა და შეთქმულებებზე, მათ მიერ მოსყიდული აგენტების ხრიკებზე განთავისუფლებული ხალხები იძლევიან ერთადერთ სწორ პასუხს: მტკიცედ წინააღუდგეთ თავისუფლებისა და პროგრესის მტრებს, სიფხიზლე და კიდევ ერთხელ სიფხიზლე! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი გულისწყრომით გმობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ შეთქმულებებისა და დივერსიების დანაშაულებრივ პოლიტიკას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლათინური ამერიკის ხალხთა მამაცური განმათავისუფლებელი ბრძოლა.

ჯერ კიდევ შედარებით ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებს ლათინური ამერიკა თავიანთ საიმედო ზურგად მიაჩნდათ. დღეს კი ამ კონტინენტზე არ არის არც ერთი ქვეყანა, სადაც არ წარმოებდეს ბრძოლა ამერიკის იმპერიალიზმისა და მისი დამქაშების — ადგილობრივი მხედრიონის, უცხოეთის მონოპოლიებთან დაკავშირებული ფეოდალური წრეების, ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სათავეში უდგანან მუშათა კლასი და კომუნისტური პარტიები.

ჩვენი დროის მნიშვნელოვანი ფაქტორია აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხთა შეკავშირების განმტკიცება იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აფრიკა-აზიის სოლიდარობის მოძრაობა, არაბ ხალხთა ერთიანობისათვის. აფრიკის ხალხთა ერთიანობისათვის მოძრაობა. სამი კონტინენტის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობა შეესაბამება ხალხთა ძირეულ ინტერესებს, და ჩვენ აქტიურად და მხურვალედ ვუჭერთ მათ მხარს.

ამხანაგებო!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია კვლავაც ყველაფერი იღონოს კოლონიური და ნეოკოლონიური ჩაგვრისაგან საბოლოო განთავისუფლებისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდასაჭერად.**

ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც:

ყოველი ღონისძიებით დაუჭერენ მხარს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი განთავისუფლებისათვის, იბრძოლებენ იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ მიენიჭოს დამოუკიდებლობა ყველა კოლონიურ ქვეყანასა და ხალხს;

განავითარებენ ყოველმხრივ თანამშრომლობას იმ ქვეყნებთან, რომლებმაც მიაღწიეს ეროვნულ დამოუკიდებლობას, დაეხმარებიან მათ ეკონომიკის განვითარებაში, ეროვნული კადრების მომზადებაში, ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში;

განამტკიცებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძმურ ურთიერთობას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების კომუნისტურ პარტიებთან და რევოლუციურ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებანი განუყრელად არის დაკავშირებული მსოფლიო სოციალიზმისა და საერთაშორისო მუშათა კლასის წარმატებებთან. ამ დიად რევოლუციურ ძალთა მტკიცე და ურღვევი კავშირი ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საქმის საბოლოო გამარჯვების საწინდარია.

## 5. საბჭოთა კავშირის ბრძოლა იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის

ამხანაგო დელეგატებო!

საგარეო ურთიერთობის დარგში საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებდა სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს თვით ბუნება ჩვენი სახელმწიფოსი, რომლის მთელ საქმიანობას მშრომელთა ინტერესები განსაზღვრავენ. ამ პოლიტიკის ფუძემდებელი იყო ვ. ი. ლენინი, და ჩვენ განუხრელად ვიცავთ ლენინურ მიდგომას საერთაშორისო საქმეებში.

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ განვლილი წლები აღინიშნა საერთაშორისო პოლიტიკაში ორი საწინააღმდეგო მიმართულების — მშვიდობისმოყვარული და აგრესიული მიმართულებების დაძაბული ბრძოლით. საბჭოთა კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ახორციელებდა თავის პოლიტიკას დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, საერთაშორისო ცხოვრებაში ისეთი პირობების შექმნისათვის ბრძოლის ნიშნით, რომლის დროსაც ყოველ ხალხს შეეძლია თავისუფლად განვითარდეს ეროვნული და სოციალური პროგრესის გზით.

მეორე მხრივ, ამ წლებში ახალი ძალით გამოვლინდა იმპერიალიზმის აგრესიული ბუნება, საფრთხე, რაც მას მოაქვს მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. იმპერიალისტები თავხედურად ერეოდნენ სხვა ქვეყნებისა და ხალხების საქმეებში, არ თაკილობდნენ სამხედრო ინტერვენციასაც კი. ამის შედეგად გამწვავდა საერთაშორისო დაძაბულობა, გადიდდა ომის საფრთხე, რასაც იწვევს იმპერიალისტების და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება.

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას ამ პირობებში საფუძვლად დაედო ის, რომ საკადრისი პასუხი გაგვეცა აგრესიული ძალებისათვის, წინააღვდგომოდით საერთაშორისო ვითარების კიდევ უფრო გამწვავებას, ვებრძოლა მსოფლიო ომის გაჩაღების საფრთხის წინააღმდეგ. ამ საქმეში ჩვენ ვემყარებოდით საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის განუწყვეტლივ მზარდ ძლიერებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალთა მხარდაჭერას.

ჩვენ მუდამ იმ ხალხების მხარეზე ვიყავით, რომლებსაც თავს ესხმოდნენ იმპერიალისტები, პოლიტიკურ, ეკონომიურ და, როცა საჭირო იყო, სამხედრო დახმარებასაც ვუწევდით ამ ხალხებს, ვამხილებდით აგრესორთა ვერაგულ ზრახვებს. საბჭოთა კავშირის აქტიურმა მოქმედებამ სხვა ძალებთან ერთად, რომლებისთვისაც ძვირფასია თავისუფლებისა და მშვიდობის საქმე, არაერთხელ აიძულა იმპერიალისტები უკან დაეხიათ.

საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებისა და მსოფლიო ომის გაჩაღების საშიშროებაზე რომ ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით უნდა შევეხოთ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიას ვიეტნამის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უხეშად დაარღვიეს ჟენევის შეთანხმებანი, ყაჩაღურად დაესხნენ თავს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას და სისხლისმღვრელ ომს აწარმოებენ სამხრეთ ვიეტნამის ხალხის წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, თითქმის არ არის ნგრევის, ხალხის ჟლეტის ისეთი საშუალებანი, რომლებიც არ გამოეყენებინოს ამ იმპერიალისტურ სახელმწიფოს, რომელიც თავს ასაღებს თავისუფლებისა და ცივილიზაციის დამცველად, მშვიდობისმოყვარული ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც ცხრა მთას იქით არის ამერიკიდან და არასოდეს არაფრით არ შეხებია მის ინტერესებს. ორასი ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი, ავიამზიდები და მძლავრი ბომბდამშენები, მომწამვლელი გაზები და ნაპალმი — ყოველივე ეს გამოყენებულია ვიეტნამის გმირ პატრიოტთა წინააღმდეგ. ვაშინგტონიდან ისმის უპასუხისმგებლო მუქარა, რომ კიდევ უფრო გააფართოებენ საომარ მოქმედებას. ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აქვთ სამხრეთ ვიეტნამში მცენარეებისა და ნათესების ქიმიური საშუალებებით განადგურების „პროგრამა" იმ მიზნით, რომ სურსათის წყაროები მოუსპონ ვიეტნამელებს. აი ამერიკის იმპერიალიზმის ნამდვილი სახე! ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი აგრესიით ვიეტნამში სამუდამოდ შეირცხვინეს თავი. და ამ სირცხვილს ვერასოდეს ვერ დააღწევენ თავს.

მაგრამ, როგორც უნდა ითარეშონ ინტერვენტებმა, ისინი ვერ გატეხენ ვიეტნამელი ხალხის ნებას, რომელმაც გააჩაღა წმიდათა-წმიდა ბრძოლა სამშობლოსათვის, თავისი სიცოცხლისა და პატიოსნებისათვის, იმ უფლებისათვის, რომ თვითონ განაგებდეს თავის ბედს. მისი გმირული სამართლიანი ბრძოლა ისტორიაში შევა როგორც ქედუდრეკი მამაცობის, შეუპოვრობის და გამარჯვებისადმი მისწრაფების შესანიშნავი მაგალითი.

მთელ მსოფლიოში ფართოვდება მძლავრი მოძრაობა ვიეტნამის მხარდასაჭერად. ძლიერდება ამერიკელ აგრესორთა მორალურ-პოლიტიკური იზოლაციის პროცესი. ვიეტნამელი ხალხის მხარეზეა საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების დახმარება, ყველა ქვეყნის ხალხთა ფართო მასების თანაგრძნობა და მხარდაჭერა. ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტი ძლიერდება ამერიკელ ხალხშიც. ყოველივე ამაში განვითარებას პოულობს საერთაშორისო მუშათა კლასის საუკეთესო ინტერნაციონალისტური ტრადიციები.

საბჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად გადაჭრით მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ და გაიყვანონ ინტერვენტთა ჯარები ამ ქვეყნიდან. ამ აგრესიის გაგრძელებას, რომლის გავრცელებასაც ამერიკის სამხედრო ხროვა ცდილობს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სხვა ქვეყნებშიც, შეიძლება მოჰყვეს ყველაზე საშიში შედეგები საყოველთაო მშვიდობისათვის.

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ: ახორციელებენ რა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ სამარცხვინო ომის „ესკალაციას", აგრესორებმა უნდა იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირი და სხვა მისი სოციალისტური მეგობრები და ძმები სულ უფრო მეტ მხარდაჭერას გაუწევენ ვიეტნამს. ვიეტნამელი ხალხი თავისი მიწა-წყლის ბატონ-პატრონი გახდება. და ვერავინ ვერასოდეს ვერ ჩააქრობს სოციალიზმის ჩირაღდანს, რომელიც მაღლა აღმართა ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ.

ვიეტნამში ამერიკის აგრესიასთან და ამერიკის იმპერიალიზმის სხვა აგრესიულ მოქმედებასთან დაკავშირებით გაუარესდა ჩვენი ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამაში ბრალი მიუძღვით ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს.

რაც შეეხება სსრ კავშირს, იგი მზად არის მშვიდობით იცხოვროს ყველა ქვეყანასთან, მაგრამ არ შეურიგდება იმპერიალისტურ თვითნებობას სხვა ხალხების მიმართ. ჩვენ არა ერთგზის განგვიცხადებია, რომ მზად ვართ განვავითაროთ ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ამჟამადაც ამ პოზიციას ვადგავართ. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ აგრესიის პოლიტიკა. აგრესიისა და ძალადობის შხამიან ნიადაგში მშვიდობიანი თანამშრომლობის კარგ ნაყოფს ვერ მოვიწევთ. ჩვენი პარტია, ჩვენი სახელმწიფო კატეგორიულად უარყოფენ აბსურდულ თვალსაზრისს, თითქოს დიდ სახელმწიფოებს შეეძლოთ თავიანთი ურთიერთობა ააგონ სხვა ქვეყნებისა და ხალხების ინტერესთა ხარჯზე. ყველა სახელმწიფოს, დიდსა თუ პატარას, ერთნაირი უფლება აქვს, რომ პატივს სცემდნენ მის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ ხელშეუხებლობას, და არავის ნება არა აქვს არღვევდეს ამ უფლებას.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირი საარსებოდ არის დაინტერესებული ევროპის უშიშროების უზრუნველყოფით. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი ევროპელი მოკავშირე საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების საქმეში დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმია. დასავლეთი გერმანია სულ უფრო მეტად ხდება ომის საფრთხის კერა, რომელშიც ძლიერდება რევანშისტული ვნებათაღელვა. იქ უკვე შეიქმნა დიდი არმია, რომლის ბირთვს ჰიტლერული ვერმახტის მეთაურთა კადრები შეადგენენ. ამ სახელმწიფოში ბევრი ხელმძღვანელი პოსტი უჭირავთ ყოფილ ფაშისტებსა და სამხედრო დამნაშავეებსაც კი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკას სულ უფრო მეტად განსაზღვრავენ იგივე მონოპოლისტური წრეები, რომლებმაც თავის დროზე ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი დააყენეს.

ბონელ პოლიტიკოსებს ელანდებათ, რომ საკმარისია ხელთ იგდონ ატომური ბომბი, რომ დაინგრეს სასაზღვრო ნიშნები, და ისინი შეძლებენ განახორციელონ თავიანთი სანუკვარი სურვილი — გადააკეთონ ევროპის რუკა, რევანში აიღონ მეორე მსოფლიო ომში დამარცხებისათვის.

ამჟამად მშვიდობის საქმისათვის ყველაზე საშიში ფაქტორია თავისებური ორმხრივი სამხედრო კავშირი, რომელიც მყარდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველ წრეებს შორის. ეს ფაქტორი იყო და კვლავ რჩება ჩვენი შეუნელებელი ყურადღების საგნად.

ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი ეს ორი თავისებური პარტნიორია. თვითეულ მათგანს სურს მეორე მხარის გამოყენება თავისი ზრახვების განხორციელებისათვის. ორივე ცდილობს გააძლიეროს საერთაშორისო დაძაბულობა ევროპაში, თვითეული თავისი მოსაზრებებით. დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებს. რა თქმა უნდა, უსაფუძვლოდ იმედი აქვთ, რომ ამ გზით განახორციელებენ თავიანთ რევანშისტულ ზრახვებს. თავის მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ საბაბი ჰქონდეთ, რათა ომის დამთავრებიდან ოც წელზე მეტი ხნის შემდეგ, კვლავ შეინარჩუნონ ევროპაში თავიანთი ჯარები და სამხედრო ბაზები და ამით პირდაპირი გავლენა იქონიონ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაზე.

ვაშინგტონელ მმართველებს იმედი აქვთ, რომ დასავლეთი გერმანია შემდეგაც ერთგულად ემსახურება ამერიკელ იმპერიალისტთა ინტერესებს ევროპაში, ხოლო თუ მათ დასჭირდებათ, დასავლეთგერმანელებს პირველთ უბიძგებენ ომის ცეცხლში. ბონში კი ოცნებობენ უფრო ღრმად ჩაითრიონ ამერიკის შეერთებული შტატები, აგრეთვე სხვა ნატოელი მოკავშირენი თავიანთ რევანშისტულ გეგმებში და ამრიგად მიაღწიონ მეორე მსოფლიო ომის შედეგების თავიანთ სასარგებლოდ გადასინჯვას. ძნელი როდია იმის დანახვა, რომ მთელი ეს ზრახვები მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ.

ევროპის ხალხებს კარგად ესმით, თუ რამდენად საშიშია დასავლეთგერმანელ რევანშისტთა მისწრაფებანი. ნახევარი საუკუნის მანძილზე გერმანიის აგრესია ორჯერ დაატყდა თავს ევროპის ბევრ ქვეყანას. რვა სოციალისტური სახელმწიფოს ხალხები, ისევე როგორც ჩვენ, კარგად იცნობენ გერმანელ მილიტარისტთა ყაჩაღურ ჩვეულებებს. გერმანიის ოკუპაციის სიმძიმე დასავლეთ ევროპის ხალხთა უმრავლესობამ განიცადა. ამიტომ ბრძოლა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ დღეს ევროპის ხალხთა საარსებო საქმედ გადაიქცა. თვით დასავლეთ გერმანიაშიც სულ უფრო ხმამაღლა გაისმის ბონის მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ხმები.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ყრილობაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ამასწინანდელი გამოსვლა ცხადყოფს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა კვლავაც აპირებს განახორციელოს რევანშისტული კურსი, აგრესიული პოლიტიკა. ეს ჩანს აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებებიდან, რომლებიც გაეგზავნა სსრ კავშირის მთავრობასა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების მთავრობებს საერთაშორისო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე.

დღეს ევროპაში ძალთა სულ სხვა თანაფარდობაა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წინ იყო. ვერავინ ვერ შეცვლის ევროპის სახელმწიფოთა ახლანდელ საზღვრებს. ამერიკელი მოკავშირის მხრებზეც რომ შედგნენ, დასავლეთგერმანელ მილიტარისტებს სიმაღლე მაინც არ მოემატებათ, ოღონდ უფრო მტკივნეული იქნება მათი დაცემა. ახლა აგრესორებს ისეთი მძლავრი, უძლეველი ძალა დაუპირისპირდა, რომ თუ ისინი გაბედავენ და ომს დაიწყებენ, თავიანთი დაღუპვის გარდა ვერაფერს ვერ მიიღებენ.

დასავლეთგერმანელ მილიტარისტთა ატომური იარაღით აღჭურვის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე საბჭოთა კავშირისა და ჩვენი მოკავშირეების დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ერთსულოვანი და მტკიცე გაფრთხილება ამ საკითხზე, რომელსაც შეიცავს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა 1965 წლის იანვრის კომუნიკე.

ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით და ვერ შევურიგდებით იმას, რომ დასავლეთგერმანელმა მილიტარისტებმა ხელთ იგდონ ატომური იარაღი, და თუ ეს მაინც მოხდა, მიღებული იქნება სათანადო ზომები. პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველ წრეებსა და მათს წამქეზებლებს. არავის უფლება არა აქვს დაივიწყოს, რომ ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილეებმა — საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ჰიტლერელ აგრესორთა დამარცხების შემდეგ პოტსდამის შეთანხმებით საჯაროდ იკისრეს ვალდებულება ხალხთა წინაშე ყოველი ღონე ეხმარათ იმისათვის, რომ გერმანიამ ვეღარასოდეს ვეღარ შეუქმნას საფრთხე თავის მეზობლებს და მთელი მსოფლიოს მშვიდობას. საბჭოთა კავშირი ერთგულად დაიცავს ამ ვალდებულებას.

ჩვენ დიდად ვაფასებთ იმას, რომ ევროპის ცენტრში მშვიდობის ვახტზე დგას ჩვენი მეგობარი და მოკავშირე — გერმანელ მშრომელთა პირველი სოციალისტური სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მან პრაქტიკულად განახორციელა პოტსდამის შეთანხმების მშვიდობისმოყვარული და დემოკრატიული პრინციპები და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, იბრძვის ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის.

საერთოდ, ამხანაგებო, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციები ევროპაში ახლა მტკიცე და საიმედოა. ეს არის მთელ მსოფლიოში სოციალიზმის განმტკიცე-

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება

(გაგრძელება)

ბას, ყველა ხალხის უშიშროების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

ევროპაში ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიული და რევანშისტული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის, ევროპის ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ: საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დასკვნა, რომ შეიძლება ავალაგმოთ აგრესორი, თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი, ძალაში რჩება. მაგრამ იმისათვის, რომ შესაძლებლობა სინამდვილედ გადაიქცეს, ამ ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ხალხის ფართო მასებმა, დაძაბულად, მუდმივად მზარდი აქტივობით იმოქმედონ მშვიდობის მთელმა ძალებმა, ახალი ძალით გაიშალდეს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის, პროფკავშირთა, ქალების, ახალგაზრდობის გაერთიანებათა და სხვა მასობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციათა საქმიანობა.

მშვიდობის დაცვაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნით სოციალისტურ ქვეყნებს. ჩვენ ეს კარგად გვესმის. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ჩვენი საბრძოლო კავშირის განმტკიცებისათვის. ჩვენს პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია შეინარჩუნოს საბჭოთა ხალხის დიდი სიფხიზლე მშვიდობის მტრების ხრიკების წინააღმდეგ და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ, თუ აგრესორები შეეცდებიან დაარღვიონ მშვიდობა, ვერასოდეს ვერ მოგვისწრონ მოუმზადებელს, რომ დაუყოვნებლივ და გარდუვალად მივუზღოთ მათ სამაგიერო.

ამხანაგებო!

ჩვენ ვამხილებთ იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკას და ამავე დროს თანმიმდევრულად და განუხრელად ვახორციელებთ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსს. ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობა მიაჩნია სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის კლასობრივი ბრძოლის ფორმად, ამასთან თანმიმდევრულად იბრძვის კაპიტალისტურ ქვეყნებთან ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებისათვის, სადავო სახელმწიფოთაშორისო საკითხების გადაწყვეტისათვის მოლაპარაკების და არა ომის გზით. საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, მათი სუვერენული უფლებების პატივისცემასა და მათი ტერიტორიების ხელშეუხებლობას.

რასაკვირველია, მშვიდობიანი თანაარსებობა არ შეიძლება იქ, სადაც საქმე ეხება კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შინაგან პროცესებს კაპიტალისტურ ქვეყნებსა თუ კოლონიებში. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს ვერ გამოიყენებთ მჩაგვრელთა და ჩაგრულთა შორის, კოლონიზატორთა და კოლონიური მონობის მსხვერპლთა შორის ურთიერთობაში.

რაც შეეხება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან, ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ეს ურთიერთობა არა მარტო მშვიდობიანი იყოს, არამედ შეიცავდეს რაც შეიძლება ფართო, ურთიერთხელსაყრელ კავშირს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში.

ყრილობაზე შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის სერიოზული წარმატებანი საანგარიშო პერიოდში. საბჭოთა კავშირს კარგი ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მეტ წილ სახელმწიფოებთან.

სსრ კავშირი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას და კმაყოფილი ვართ, რომ ჩვენი კეთილმეზობლური პოლიტიკა კარგ შედეგებს იძლევა. ურთიერთ ნდობა, მეგობრობა და თანამშრომლობა ახასიათებს ჩვენს ურთიერთობას ფინეთთან და ავღანეთთან. ნორმალური ურთიერთობა მყარდება სკანდინავიის ქვეყნებთან, თუმცა, რასაკვირველია, ჯერ ვერ ვიტყვით, რომ ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზაზე არავითარი დაბრკოლება არ იყოს. საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან გარკვეულ შემობრუნებას გაუმჯობესებისაკენ, რომელიც ამ ბოლო წლებში მოხდა სსრ კავშირის ურთიერთობაში თურქეთთან და ირანთან.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდნენ და უთმობენ ურთიერთობის გაუმჯობესებას აზიის ისეთ დიდ სახელმწიფოებთან, როგორიც არიან ინდოეთი და პაკისტანი, რომლებიც ფაქტიურად აგრეთვე შეიძლება ჩვენს მეზობლებად ჩაითვალონ. საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი ტრადიციული, დროით გამოცდილი მეგობრობა ინდოეთთან, მის დიდ ხალხთან. რამდენადმე გაუმჯობესდა ურთიერთობა პაკისტანთან.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ინდოეთისა და პაკისტანის ხელმძღვანელთა ტაშკენტის შეხვედრა საბჭოთა კავშირის წინადადების შესაბამისად, რომელშიც მონაწილეობდა საბჭოთა მთავრობის მეთაური. ამ კონფერენციის მოწვევის ფაქტი, მისი შედეგები და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიერ მისი დადებითად შეფასება ცხადყოფენ, თუ რა უდიდესი ნდობით ეკიდებიან ხალხები საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

სსრ კავშირი მომხრე იყო და კვლავაც მომხრეა, რომ განვითარდეს მეგობრული ურთიერთობა ინდონეზიასთან. ინდონეზიის რევოლუციამ დიდი წვლილი შეიტანა ხალხთა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში. ინდონეზიის მამაც ხალხს სრული უფლება აქვს, რომ თავისი მონაპოვარნი, რომლებსაც დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის ხანგრძლივ და ძნელ ბრძოლაში მიაღწია, შეინარჩუნოს და შემდგომ განავითაროს.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ჩვენი მეგობარი კამბოჯის სამართლიან ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობის, ნეიტრალიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და განმტკიცებისათვის.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩვენი ურთიერთობა საფრანგეთთან. ეს დადებითი მოვლენაა. იგი ემყარება ორივე სახელმწიფოს ინტერესების თანადამთხვევას მთელ რიგ დიდ საერთაშორისო საკითხებში, ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის დიდი ხნის ტრადიციებს. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარება შეიძლება ევროპის უშიშროების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ელემენტი გახდეს.

ამ ბოლო წლების მანძილზე დაიწყო ურთიერთობის, უწინარეს ყოვლისა ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგება ევროპის ისეთ დიდ ქვეყანასთან, როგორიც არის იტალია. მზად ვართ განვავითაროთ ეს ურთიერთობა.

უეჭველია სასარგებლო იქნებოდა საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის აქტივიზაცია. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად შესაძლებელს გახდის ინგლისის საგარეო პოლიტიკა ამ ურთიერთობის ასეთ განვითარებას.

შეგვიძლია აღვნიშნოთ ერთგვარი ძვრა ამ ბოლო დროს ჩვენს ურთიერთობაში იაპონიასთან, რომელთანაც ვითარდება ხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობა. მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ იაპონიის ტერიტორიაზე უშუალოდ საბჭოთა კავშირის საზღვრების ახლოს იმყოფებიან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები და სამხედრო ბაზები. ამას წინათ იაპონიამ ვაშინგტონის მარიონეტთან — სამხრეთ კორეის მთავრობასთან დადო მილიტარისტული ხელშეკრულება, რომელსაც ჩვენ გადაჭრით ვგმობთ. ყოველივე ეს არ შეიძლება არ აძნელებდეს იაპონიასთან ჩვენი ურთიერთობის განვითარებას.

დიდი საერთაშორისო საკითხი იყო და კვლავ არის სხვათა ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის და ამ ტერიტორიებიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის საკითხი. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთელ მსოფლიოში მოაწყეს მრავალი სამხედრო ბაზა, სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე განალაგეს თავიანთი შეიარაღებული ძალების კონტინგენტები. ამ ბაზებსა და შეიარაღებულ ძალებს იყენებენ მშვიდობისადმი უცხო ინტერესებისათვის, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებზე ზეგავლენის, ხშირად კი მათს საშინაო საქმეებში პირდაპირი შეიარაღებული ჩარევის საშუალებად. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ დიდი ხანია დადგა დრო ბოლო მოეღოს ასეთ მდგომარეობას, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობისა და სახელმწიფოთა უშიშროებას, ლიკვიდირებულ იქნას სხვათა ტერიტორიებზე განლაგებული სამხედრო ბაზები, გაყვანილ იქნან ასეთი ტერიტორიებიდან უცხოეთის შეიარაღებული ძალები. ჩვენ კვლავაც განვახორციელებთ პოლიტიკას ამ მიზნის მისაღწევად საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

გამოხატავს რა არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ აგრეთვე ყველა ქვეყნის ხალხთა უფართოესი მასების სისხლხორცეულ ინტერესებს, საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის იმპერიალისტების მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების შეკავებისა და სრული შეწყვეტისათვის, ამ დარგში იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზე შეთანხმების მიღწევისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საყოველთაო და სრულ განიარაღებას. ამ საკითხებში საბჭოთა პოლიტიკას გაგებით ეკიდება და მხარს უჭერს ბევრი სახელმწიფო.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე სსრ კავშირი კვლავ აქტიურად მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბევრი ახალი განთავისუფლებული ქვეყნის მოსვლამ არსებითად შეცვალა ვითარება ამ ორგანიზაციაში, ამასთან არა იმპერიალისტების სასარგებლოდ. საბჭოთა კავშირი განუხრელად ცდილობს ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ სახელმწიფოთა შეკავშირებას, რომლებიც გამოდიან აგრესიის წინააღმდეგ, და ამასთან ცდილობს გაზარდოს ამ ორგანიზაციის როლი საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის უკანასკნელმა სესიამ მიიღო, როგორც ცნობილია, დიდმნიშვნელოვანი რეზოლუციები სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ და ატომური იარაღის გაუვრცელებლობისათვის. ჩვენ კვლავაც მივიჩნევთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობისა და ყველა ხალხის უშიშროების საქმისათვის აქტიური პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ ახლანდელ ეტაპზე საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, მშვიდობის გამტკიცებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებისათვის ბრძოლაში ყველაზე დიდმნიშვნელოვანი იქნება განვახორციელოთ, კერძოდ, შემდეგი ღონისძიებანი:**

ბოლო მოეღოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამის მიმართ, გაყვანილ იქნან სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკისა და უცხოეთის მთელი ჯარები, შესაძლებლობა მიეცეს ვიეტნამელ ხალხს თვითონ წყვეტდეს თავის საშინაო საქმეებს, ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების საფუძვლად მიღებულ იქნას პოზიცია, რომელიც ჩამოაყალიბეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა.

უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის ზუსტად შესრულება.

დაიდოს საერთაშორისო ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ; მთლიანად მოიხსნას საკითხი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღებისა თუ მის მიერ ყოველგვარი ფორმით ატომური იარაღის ხელში ჩაგდების შესახებ; განხორციელდეს ხალხთა მისწრაფება, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში შეიქმნას უატომო ზონები; სახელმწიფოებმა, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, იკისრონ საზეიმო ვალდებულება პირველმა არ გამოიყენონ იგი; დაიდოს შეთანხმება მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა აკრძალვის შესახებ. ამ ღონისძიებათა განხორციელება ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ დასახავდა ატომური იარაღის სრული აკრძალვისა და მოსპობის შემდგომ გზას.

დაიწყოს მოლაპარაკება ევროპის უშიშროების საკითხებზე. განხილულ იქნას ევროპის სოციალისტური და სხვა სახელმწიფოების არსებული წინადადებანი სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და ევროპაში შეიარაღების შემცირების შესახებ, ევროპის ყველა სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის განვითარების შესახებ. ამ მიზნით მოწვეულ იქნას შესაბამისი საერთაშორისო თათბირი. კვლავ ვეძიოთ გზები ევროპის უშიშროების ერთ-ერთი კარდინალური ამოცანის — გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების ამოცანის გადასაწყვეტად, რათა ევროპის სახელმწიფოების, მათ შორის ორი გერმანული სახელმწიფოს დღევანდელი არსებული საზღვრების ცნობის საფუძველზე სავსებით მოისპოს ევროპაში მეორე მსოფლიო ომის ნაშთები.

ასეთია ჩვენი წინადადებანი. ბევრი მათგანი უკვე წამოყენებული იყო წინათ. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ მიგვაჩნია, რომ ეს წინადადებანი ყოვლისმომცველია. და მზად ვართ ყურადღებით მოვეკიდოთ ყველა სხვა წინადადებას, რომელთა მიზანი იქნება საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება და მშვიდობის განმტკიცება.

ამხანაგო დელეგატებო!

ყველა საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ — ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცეა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა საიმედოდ ემსახურება კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვისა და განმტკიცების საქმეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც ამ ნაცადი კურსით ივლის.

ჩვენი საერთაშორისო ამოცანები მით უფრო წარმატებით გადაწყდება, რაც უფრო სწრაფად განვითარდება ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმე. ისტორიის ნებით საბჭოეთმა მსოფლიოში პირველმა აღმართა კომუნიზმის დროშა. საბჭოთა ხალხი თავისი ლენინური კომუნისტური პარტიის მეთაურობით ღირსეულად ატარებს ამ დიად, უძლეველ დროშას.

## II. პარტიის ბრძოლა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის

ამხანაგებო!

ახლა ნება მიბოძეთ გადავიდე ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობის დახასიათებაზე და ყრილობას მოვახსენო ეკონომიური მშენებლობის დარგში პარტიის პოლიტიკისა და მუშაობის შედეგების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში მიმართული იყო მთავარი საპროგრამო ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტისაკენ — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისაკენ.

ჩვენი ყრილობა დაემთხვა შვიდწლედის დამთავრებას, რომელიც ამ ამოცანის შესრულების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო. ამიტომ ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ უმნიშვნელოვანესი შედეგები ამ პერიოდისა, რომელსაც ახასიათებს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი ზრდა და განმტკიცება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე.

განვლილ შვიდ წელიწადში ეროვნული შემოსავალი, რომელიც გამოყენებულ იქნა დაგროვებისა და მოხმარებისათვის, გაიზარდა 53 პროცენტით, სამრეწველო წარმოებისა კი — 84 პროცენტით. სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები გადიდდა 92 პროცენტით. მრეწველობამ გამოუშვა 46 მილიარდი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. დაზვერილი და სამრეწველო ექსპლოატაციაში მოქცეულია ნავთობის, გაზის, რკინის მადნის, ფერადი ლითონების, ქიმიური ნედლეულისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის ახალი საბადოები. გაფართოვდა სახალხო მეურნეობის სათბობ-ენერგეტიკული და მეტალურგიული ბაზა. ამ წლებში განუხრელად იზრდებოდა მძიმე მრეწველობის ძირითადი დარგები, აგრეთვე მნიშვნელოვნად გადიდდა სასურსათო საქონლისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოება.

კომუნისტურ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს საფუძველი აქვთ კმაყოფილი იყონ განვლილ პერიოდში საბჭოთა კავშირის განვითარების შედეგებით. ამ წლებში ჩვენმა სამშობლომ გაადიდა ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება. ხატოვნად რომ ვთქვათ, კიდევ უფრო დავაჟკაცდა და გამაგრდა, მხრებში გაიშალა. ეკონომიური და თავდაცვითი პოტენციალის შექმნას, რომლითაც ჩვენმა სახელმწიფომ შვიდწლედი დაიწყო, საბჭოთა ხალხმა 40 წელზე მეტი ხნის შრომა მოანდომა, ომების გამოკლებით კი — 32 წლისა. შვიდ წელიწადში ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა პარტიის ხელმძღვანელობით თითქმის გააორკეცეს ძირითადი საწარმოო ფონდები. 32 წელი და შვიდი წელი — აი როგორ დაჩქარდა ჩვენი ეკონომიკის განვითარება.

ამხანაგებო! შვიდწლედის უკანასკნელ წელს ჩვენმა სამშობლომ ზეიმით აღნიშნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების 20 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით სასარგებლო იქნება გავიხსენოთ, რომ ომის წინ, 1940 წელს, ჩვენ ვაწარმოეთ 18,3 მილიონი ტონა ფოლადი; 13,1 მილიონი ტონა ნაგლინი; 31,1 მილიონი ტონა ნავთობი; 5,7 მილიონი ტონა ცემენტი; 145,4 ათასი ცალი ავტომობილი, 31,6 ათასი ცალი ტრაქტორი; 48,3 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. აი ეს შედეგები ჰქონდა ჩვენს ხალხს, გამხეცებული მტრის წინააღმდეგ საომრად რომ აღდგა. ჰიტლერელთა სამხედრო მანქანა გავაცამტვერეთ.

ომში უმძიმესი ზარალი განვიცადეთ. დაიღუპა 20 მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანი. ვოლგის დასავლეთით უდიდეს სივრცეებზე ნანგრევებად იქცა ათასობით ქალაქი და სოფელი, ათეულ ათასობით ქარხანა, ფაბრიკა, შახტი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სასკოლო და საცხოვრებელი შენობა. ერთი შეხედვით, მრავალი ათწლეული მოუნდებოდა დანგრეულის აღდგენას.

მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა პარტიის ხელმძღვანელობით დიდი შრომითი გმირობა გამოიჩინეს. 1965 წელს, ესე იგი შვიდწლედის დამლევისა და გამარჯვების 20 წლისთავის წელს, ჩვენმა მრეწველობამ აწარმოვა ფოლადი — 5-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; ნაგლინი — თითქმის 5,5-ჯერ მეტი; ნავთობი — თითქმის 8-ჯერ მეტი; ცემენტი — თითქმის 13-ჯერ მეტი; ავტომობილები — 4,2-ჯერ მეტი, ტრაქტორები — 11-ჯერ და უფრო მეტი და ელექტროენერგია 10,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

განა საჭიროა აქ კომენტარები? ჩვენი ხალხის წარმატებანი ჭეშმარიტად დიდებულია!

ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად უფრო სრულყოფილი ხდებოდა სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა. ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება კიდევ უფრო მტკიცე და ძლიერი გახდა. კიდევ უფრო განმტკიცდა სოციალისტური საკუთრების საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმები. გადიდდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი სიმდიდრე და მშრომელთა შემოსავალი. განხორციელდა დიდი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ანაზღაურების მოწესრიგებისა და გადიდებისათვის. გაფართოვდა წარმოების მართვის დემოკრატიული საფუძვლები.

განვლილ წლებში არსებითად შეიცვალა საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. შვიდწლედის განმავლობაში მუშათა რიცხვი გადიდდა 14 მილიონი კაცით, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა რიცხვი კი — 7 მილიონით. მუშათა რიცხვის ზრდა ასახავს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების სწრაფ ტემპებს, მოწმობს მუშათა კლასის — ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ორგანიზებული კლასის როლის შემდგომ ამაღლებას და, მაშასადამე, სოციალისტური წყობილების სიმტკიცესაც. ახლა მუშებისა და მოსამსახურეების წილად ოჯახებიანად მოდის საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 75,4 პროცენტი და კოლმეურნე გლეხობის წილად — 24,6 პროცენტი. მუშათა კლასის ძმური კავშირი კოლმეურნე გლეხობასთან ადუღაბებს მთელი საბჭოთა ხალხის ერთიანობას.

შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში ახალი ძალით გამოვლინდა პარტიის ორგანიზატორული და აღმზრდელობითი როლი, მისი უნარი რაზმავდეს ხალხის უფართოეს მასებს სახელოვანი შრომითი საქმეების შესასრულებლად.

თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, რომ სკპ XXI ყრილობის შემდეგ პარტიის მოწოდებით მოსკოველებმა და ლენინგრადელებმა, უკრაინისა და ბელორუსიის, ურალისა და ციმბირის მშრომელებმა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება საბჭოთა ეკონომიკის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

მუშათა კლასმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა, სამრეწველო საწარმოთა მოსამსახურეებმა და ტრანსპორტის მუშაკებმა თავიანთი შრომით კიდევ უფრო განამტკიცეს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერება, აამაღლეს მისი ინდუსტრიული დონე.

დაძაბულად მუშაობდნენ მინდვრებსა და ფერმებში კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები. ძლევდნენ რა სიძნელეებს, მათ ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეეტანათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, უზრუნველეყოთ მოსახლეობა საჭირო პროდუქტებით, ხოლო მრეწველობა — ნედლეულით.

მშენებლებმა ააგეს ათასობით ქარხანა და ფაბრიკა, ასეულ ათასობით საცხოვრებელი სახლი, ახალი სკოლა და საავადმყოფო.

საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს შრომაში აქტიურად, შემოქმედებითად მონაწილეობენ მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მოღვაწეები, მთელი საბჭოთა ინტელიგენცია.

ნება მიბოძეთ ყრილობის სახელით მხურვალედ მივულოცო წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, მთელ მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ჩვენს ინტელიგენციას, მთელ საბჭოთა ხალხს შესანიშნავი შრომითი წარმატებანი!

საბჭოთა კავშირის ეკონომიკამ უკანასკნელ წლებში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მის განვითარებაში უდავო მიღწევებია. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ჩვენს პარტიას ჩვეულებად არა აქვს თვალი აარიდოს ნაკლოვანებებს, შეურიგდეს მათ.

მთელი რიგი მიზეზების გამო, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ვერ შევძელით შეგვესრულებინა შვიდწლიანი გეგმის დავალებანი ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით. ეს უწინარეს ყოვლისა შეეხება სოფლის მეურნეობას, რომლის პროდუქცია მხოლოდ 14 პროცენტით გადიდდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩამორჩენამ შესამჩნევად შეაფერხა ჩვენი წინსვლა, უარყოფითი გავლენა მოახდინა მსუბუქი და კვების მრეწველობის ზრდის ტემპებზე, შესაძლებლობა არ მოგვცა მთლიანად განგვეხორციელებინა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების დასახული ღონისძიებანი.

ზოგიერთი შეუსაბამობა გამოვლინდა მძიმე მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარებაში. შვიდწლიანი გეგმის დავალება არ შესრულებულა ცალკეულ სახეობათა ქიმიური პროდუქტების, ქვანახშირის, მანქანებისა და მოწყობილობების, სახალხო მოხმარების ზოგიერთი საქონლის წარმოების დარგში. მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ყველა ახალი საწარმო როდი ამუშავდა დასახულ ვადებში, აშენებულთაგან ბევრმა ვერ მიაღწია საპროექტო სიმძლავრეს. ყოველივე ამის შედეგად ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპები იმაზე ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე შვიდწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული.

ამხანაგებო!

საანგარიშო პერიოდი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში, იმ ამოცანათა რეალიზაციაში, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით, ახლა ნება მიბოძეთ, ამასთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით მოგახსენოთ პარტიის მუშაობის შესახებ ეკონომიური მშენებლობის დარგში პარტიის XXII და XXIII ყრილობებს შორის პერიოდში, აგრეთვე ჩვენი ეკონომიკის შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ. ვითვალისწინებთ რა იმას, რომ წინა ყრილობაზე საანგარიშო მონაცემები მოყვანილი იყო 1960 წლის ჩათვლით, განვიხილავთ 1961-1965 წლების ძირითად მაჩვენებლებს. ეს საშუალებას მოგვცემს თვალნათლივ შევუდაროთ გასული ხუთწლეულის შედეგები და მომდევნო ხუთწლედის დირექტივების პროექტი.

### მრეწველობა და მშენებლობა

საანგარიშო პერიოდში დიდი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტურმა მრეწველობამ. ეს ჩანს უმნიშვნელოვანესი მონაცემებით სამრეწველო პროდუქციის ზრდის შესახებ გასული ხუთწლეულის მანძილზე.

**სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა**

| | 1960 წელი | 1965 წელი | 1965 წელი პროცენტობით 1960 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|
| მრეწველობის საერთო პროდუქცია — მილიარდი მანეთი | 155 | 234 | 151 |
| ელექტროენერგია — მილიარდი კილოვატ-საათი | 292 | 507 | 173 |
| ნავთობი — მილიონი ტონა | 148 | 243 | 164 |
| გაზი — მილიარდი კუბური მეტრი | 47 | 129 | 274 |
| ქვანახშირი — მილიონი ტონა | 510 | 578 | 113 |
| ფოლადი — მილიონი ტონა | 65 | 91 | 139 |
| ნაგლინი — მილიონი ტონა | 51 | 71 | 139 |
| მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია — მილიარდი მანეთი | 34 | 61 | 179 |
| ყველა სახეობის ქსოვილები — მილიარდი გრძივი მეტრი | 8,2 | 9,1 | 111 |
| ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი | 419 | 486 | 116 |
| ფხვნილი შაქარი — მილიონი ტონა | 6,4 | 11,0 | 173 |
| ხორცი — სამრეწველო გამომუშავება — მილიონი ტონა | 4,4 | 5,2 | 118 |
| ერბო და კარაქი — ათასი ტონა | 737 | 1073 | 146 |
| მცენარეული ზეთი — ათასი ტონა | 1586 | 2770 | 175 |
| თევზჭერა, ვეშაპების, ზღვის ნადირისა და ზღვის პროდუქტების მოპოვება — მილიონი ტონა | 3,5 | 5,8 | 163 |

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ საანგარიშო პერიოდში მიღწეულია სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მნიშვნელოვანი გადიდება, განსაკუთრებით მრეწველობის წამყვან დარგებში. განვლილ ხუთ წელიწადში საზოგადოებრივი პროდუქტი გადიდდა 35 პროცენტით, ხოლო მრეწველობის საერთო პროდუქცია — ერთნახევარჯერ. მარტო სამრეწველო პროდუქციის მატებამ ხუთწლეულში 79 მილიარდი მანეთი შეადგინა. ეს სამჯერ და მეტად სჭარბობს ყველა ომამდელ ხუთწლედში მიღწეულ მატებას.

განუხრელად იზრდება საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში. 1965 წელს სსრ კავშირმა აწარმოვა მთელი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის თითქმის მეხუთედი, ხოლო მეორე მსოფლიო ომის წინ საბჭოთა კავშირის სამრეწველო პროდუქციის წილი მეათედზე ნაკლები იყო. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის მოსახლეობა დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 7 პროცენტს შეადგენს. თანმიმდევრულად წყდება პარტიის მიერ დასახული ამოცანა — ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებაში გადავაჭარბოთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. სულ უფრო მცირდება განსხვავება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების დონეებს შორის.

ჩვენს სოციალისტურ ეკონომიკაში მოხდა არა მარტო დიდი რაოდენობრივი, არამედ აგრეთვე ღრმა თვისებრივი გარდაქმნები. მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესმა ბევრი ახალი წარმოება წარმოშვა. განხორციელდა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების ხელახალი ტექნიკური შეიარაღება. დიდი რაოდენობით შეიქმნა და ამუშავდა სხვადასხვა ტიპის მანქანები, მოწყობი-

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება

(გაგრძელება)

ლობა, ხელსაწყოები, რომელთაგან ბევრი უნიკალურია და მსოფლიოში პირველად შეიქმნა. ტექნიკურმა პროგრესმა, წარმოების მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ საშუალება მოგვცა ხუთწლეულში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 25 პროცენტით გაგვედიდებინა.

ფართოდ მიმდინარეობს ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქცია. შარშან რკინიგზებზე ელმავლისა და თბომავლის წევით გადაზიდულია მთელი ტვირთების 85 პროცენტი. ტრანსპორტი სულ უფრო მეტი რაოდენობით იღებს მძიმე და ჩქაროსნულ თვითმფრინავებს, დიდტვირთიან ავტომობილებსა და გემებს. დიდი მასშტაბებით მიმდინარეობს მაგისტრალურ ნავთობსადენთა და გაზსადენთა მშენებლობა, რომელთა საერთო სიგრძე ახლა 70 ათას კილომეტრს აღემატება.

განხორციელებულია დიდი სამშენებლო პროგრამა. 1961-1965 წლებში კაპიტალურმა დაბანდებებმა სახალხო მეურნეობაში შეადგინა 211 მილიარდი მანეთი — დაახლოებით იმდენივე, რამდენიც წინა ათ წელიწადში.

კაპიტალური მშენებლობის ასეთი გაქანება ჩვენს ქვეყანას ჯერ არასოდეს არ უნახავს. აქ არიან ამხანაგები, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან. ისინი დაადასტურებენ, რომ, როგორც სიმღერაშია ნათქვამი „მოსკოვიდან ყველაზე შორეულ განაპირა მხარეებამდე" — ყველგან გაჩაღებულია მუშაობა, აგებენ ახალ საწარმოებს, ელექტროსადგურებს, გაჰყავთ რკინიგზები, მილსადენები, აშენებენ ახალ საცხოვრებელ უბნებსა და მთელ ქალაქებს. ერთი სიტყვით, რამდენიც უნდა იაროთ ჩვენი ქვეყნის უსაზღვრო სივრცეებში, — ყველგან სამშენებლო მოედნებია. ეს ჩვენი სამშობლოს ტიპიური პეიზაჟია.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში წარმატებით ვითარდებოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკა. წარმოების გეგმები შეასრულეს რუსეთის ფედერაციამ, რომელშიც სამრეწველო პროდუქცია ხუთწლეულში 45 პროცენტით გადიდდა, უკრაინის სს რესპუბლიკამ, სადაც იგი 53 პროცენტით გაიზარდა და ბელორუსიის სს რესპუბლიკამ — 64 პროცენტით. წარმოება ზრდას განაგრძობდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის რესპუბლიკებში. თურქმენეთში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ხუთ წელიწადში გადიდდა 34 პროცენტით, უზბეკეთში — 50 პროცენტით და ტაჯიკეთში — 54 პროცენტით, ყაზახეთში — 63 პროცენტით, ყირგიზეთში — 67 პროცენტით. უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში, იზრდებოდა სამრეწველო წარმოება ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში. ამ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის ოცი წლისთავი ახლახან აღნიშნა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, მთლიანად ჩვენი ქვეყნის მრეწველობა და თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის მრეწველობა განვლილ ხუთ წელიწადში იზრდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა. კიდევ უფრო განმტკიცდა ეკონომიური ურთიერთობა და გაიზარდა ურთიერთდახმარება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

შეიძლება განსაკუთრებული კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკური თანასწორობა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, რაც მოპოვებული და გამოჭედილია სოციალიზმის მშენებლობის დროს, განმტკიცებულიყო მათი ეკონომიური განვითარების პირობების შეთანასწორებით. ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, ამხანაგებო. ეს მკაფიო გამოვლინებაა ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიადი ცხოველმყოფელი ძალისა, რომელიც მთელ მსოფლიოს უჩვენებს, რომ მხოლოდ სოციალიზმი უსახავს ხალხებს ეკონომიური და სხვა ჩამორჩენილობის სწრაფი დაძლევისა და მოწინავე მაღალგანვითარებულ სოციალისტურ ერებად გადაქცევის საიმედო გზებს. ეს არის ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის შემდგომი შეკავშირების მტკიცე საფუძველი.

ეკონომიკის განვითარებას რომ განვიხილავთ, უნდა ვხედავდეთ როგორც ჩვენი მუშაობის შედეგების დადებით მხარეებს, ისე ნაკლოვანებებს. ამ უკანასკნელ წლებში თავი იჩინა ისეთმა უარყოფითმა მოვლენებმა, როგორიც არის წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების შენელება, საწარმოო ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობის შემცირება. თუ კრიტიკულად არ მივუდექით საკითხს, სწორად ვერ შევაფასებთ შედეგებს, უამისოდ კი ჩვენი წინსვლა უფრო ნაკლებ წარმატებითი იქნება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ოქტომბრის (1964 წლის) პლენუმის შემდეგ ანალიზი გაუკეთა ეკონომიკაში შექმნილ მდგომარეობას, გამოარკვია ამ უარყოფით მოვლენათა მიზეზები, დასახა მათი დაძლევის გზები.

ეკონომიური ზრდის ტემპებზე გავლენა მოახდინა მართვისა და დაგეგმვის ნაკლოვანებებმა, მეურნეობის გაძღოლის სამეურნეო ანგარიშის მეთოდების შეუფასებლობამ, მატერიალური და მორალური სტიმულების არასრულად გამოყენებამ. წარმოების მართვის, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ფორმები და მეთოდები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მოქმედებდა, არ შეესაბამებოდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების უფრო მაღალ დონეს და უკვე აფერხებდა მათს განვითარებას.

უარყოფითი გავლენა მოახდინა სახალხო მეურნეობაზე და განსაკუთრებით მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე მოუსავლიანობამ 1963 და 1965 წლებში. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ აგრეთვე საერთაშორისო ვითარების გართულება. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა აგრესიულმა მოქმედებამ გვაიძულა უკანასკნელ წლებში დამატებით გამოგვეყო მნიშვნელოვანი სახსრები ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად.

უნდა ვაღიაროთ, რომ შვიდწლიანი გეგმის შემუშავებისას სუბიექტური მიდგომის გამო დაშვებული იყო ზოგიერთი შეცდომა, აჩქარება. წარმოების ნავარაუდევი გაფართოება ცალკეულ დარგებში ყოველთვის როდი შეესაბამებოდა რეალურ შესაძლებლობებს.

მრეწველობის მართვის ტერიტორიულ სისტემას მოჰყვა ის, რომ მრეწველობის დარგების ხელმძღვანელობა დაქსაქსული აღმოჩნდა მრავალი ეკონომიური რაიონის მიხედვით: დაირღვა ტექნიკური პოლიტიკის ერთიანობა, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები მოწყვეტილი აღმოჩნდნენ წარმოებას, რაც აფერხებდა ახალი ტექნიკის შემუშავებასა და დანერგვას.

კომუნისტური მშენებლობის ინტერესები, შექმნილ სიძნელეთა დაძლევის საჭიროება მოითხოვდა არა ცალკეულ კერძო შესწორებებს, არამედ ისეთ ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი გიგანტური საწარმოო ძალების უფრო რაციონალურად გამოყენებას, ხალხის კეთილდღეობის უფრო სწრაფად გაუმჯობესებას, ჩვენი წყობილების უპირატესობათა სრულად გამოვლინებას.

ოქტომბრის პლენუმის შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი ძალღონე მოახმარა ჩვენი საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობის სრულყოფის, სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის გაუმჯობესების, წარმოების დაგეგმვისა და სტიმულირების ძირეულ საკითხებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმებმა შეიმუშავეს ახალი მიდგომა ეკონომიკის ხელმძღვანელობისადმი, განსაზღვრეს ჩვენი განვითარების თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიური პოლიტიკის პრინციპები. ეს პრინციპები იმაში მდგომარეობს, რომ გავაძლიეროთ ეკონომიური მეთოდებისა და სტიმულების როლი სახალხო მეურნეობის მართვაში, ძირეულად გავაუმჯობესოთ სახელმწიფო დაგეგმვა, გავაფართოოთ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო დამოუკიდებლობა და ინიციატივა, გავადიდოთ საწარმოო კოლექტივების პასუხისმგებლობა და მატერიალური დაინტერესება თავიანთი საქმიანობის შედეგებით.

ასეთი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელება ხელს შეუწყობს ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და საწარმოო ძალების განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას.

მრეწველობის დარგების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით, როგორც იცით, შეიქმნა საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები. მათ დაეკისრათ პასუხისმგებლობა შესაბამის დარგებში საქმის ვითარებისათვის, წარმოების მაღალი ტექნიკური დონისა და სამრეწველო პროდუქციაზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, ეკონომიური რეფორმის განხორციელებისათვის.

ახლად შექმნილი ცენტრალიზებული დარგობრივი მართვა კარგად არის შეხამებული მოკავშირე რესპუბლიკების, საწარმოებისა და გაერთიანებების უფლებათა არსებით გაფართოებასთან, ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების გაძლიერებასთან — და ეს არის მრეწველობის მართვის ახალი სისტემის უპირატესობა. მინდა გავაფრთხილო სამინისტროთა მუშაკები, რომ თავი დაანებონ საქმისადმი ვიწროუწყებრივი მიდგომის აღორძინების ცდებს, რასაც წინათ ხშირად სცოდავდნენ ხოლმე სამინისტროები.

ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რომ სავსებით განვახორციელოთ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა. ეს უახლოესი წლების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

საქმის წარმატება, ამხანაგებო, ახლა ბევრად არის დამოკიდებული ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრების ინიციატივაზე, საქმიანობასა და ოპერატიულობაზე, ეკონომიური განვითარების რთული ამოცანების გადაწყვეტისადმი გაბედულ მიდგომაზე, გეგმების შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობის მაქსიმალური გადიდებისათვის საწარმოთა კოლექტივების დარაზმვის უნარზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელი სამეურნეო კადრები, რომლებსაც სოციალისტური მშენებლობის დიდი გამოცდილება აქვთ და პოლიტიკურად მომწიფებული არიან, ქარხნებისა და ფაბრიკების დირექტორები, საამქროებისა და უბნების უფროსები მეცნიერებთან, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან მჭიდრო თანამშრომლობით წარმატებით შეასრულებენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს.

ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვეს საზღვარგარეთ. ამ გადაწყვეტილებებს სწორი შეფასება მისცეს ჩვენმა მეგობრებმა და, როგორც ყოველთვის, მათს დამახინჯებას ცდილობენ ჩვენი მტრები. რეაქციული ბურჟუაზიული პრესა ამ ბოლო დროს ბევრს წერდა საბჭოთა ეკონომიკის რაღაც „კრიზისზე". ზოგ ვინმეს ისიც კი მოეჩვენა, თითქოს ჩვენი უკანასკნელი ეკონომიური ღონისძიებანი სოციალიზმიდან გადახვევა იყოს.

რა შეიძლება ითქვას ამის გამო?

ეს მტკიცებანი თავიდან ბოლომდე სასაცილოა. ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენში ურყევი საფუძველი იყო და არის წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. ჩვენ არა მარტო ვინარჩუნებთ, არამედ სრულვყოფთ კიდევაც გეგმიან საწყისებს ეკონომიკის განვითარებაში.

თუ სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის გაძლიერება ჩვენში ახლა შეხამებულია საწარმოთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობის შემდგომ განვითარებასთან, ეს სწორედ იმას მოწმობს, რომ მეურნეობის გაძღოლის სოციალისტურ პრინციპებს სულ უფრო სწორად და ეფექტიანად ვიყენებთ. სოციალიზმი ისეთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციაა, რომლის პრინციპია ანაზღაურება შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, და რომელიც, მაშასადამე, ითვალისწინებს ეკონომიური სტიმულების მოქმედებას, მილიონიანი მშრომელი მასების მატერიალურ დაინტერესებას და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელობაში ჩაბმას.

სოციალისტური საწარმოს პროდუქცია იქმნება მთელი კოლექტივის ერთობლივ ღონისძიებათა შედეგად. ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ თვითეული მომუშავის მატერიალურ წახალისებასთან ერთად მისი პირადი შრომის შესაბამისად უზრუნველვყოთ მთელი კოლექტივის მატერიალური დაინტერესება საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებით. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულად შევუხამოთ ერთმანეთს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები.

ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მთელმა საბჭოთა ხალხმა. იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელობის სრულყოფის ღონისძიებებს, რომლებიც პლენუმებმა მიიღეს, მოიწონებენ XXIII ყრილობის დელეგატებიც.

ამხანაგებო!

ჩვენმა ყრილობამ უნდა განიხილოს და მიიღოს დირექტივები ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საკითხზე ყრილობა მოისმენს ამხ. ა. ნ. კოსიგინის მოხსენებას, ნება მიბოძეთ შევეხო ამ გეგმის მხოლოდ ძირითად თავისებურებებს, რომლებიც ასახავენ იმ პრინციპულ იდეებსა და პოლიტიკურ დებულებებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზრით საჭიროა საფუძვლად დაედოს ახალ ხუთწლედს.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა ახალი ხუთწლიანი გეგმის **მთავარი ამოცანა. ეს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ყოველნაირად გამოყენების, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარების, მისი ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე უზრუნველვყოთ მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი მყარი ტემპები და ამის მეოხებით მივაღწიოთ ხალხის ცხოვრების დონის არსებით ამაღლებას, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას.**

მომავალ ხუთწლედში ახალი ნაბიჯები გადაიდგმება ისეთი პრობლემების გადასაჭრელად, როგორიც არის არსებითი განსხვავების დაძლევა ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის. დიდი ეკონომიური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის პოლიტიკური საფუძველი და მატერიალური ბაზა, კიდევ უფრო განვითარდება ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ხალხთა ძმური კავშირი.

ამრიგად, ხუთწლიანი გეგმის დავალებანი ორგანული ერთიანობით ასახავენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის რესურსების რაოდენობრივ ზრდასა და ეკონომიკაში შემდგომ ღრმა თვისებრივ ცვლილებებს, საწარმოო ძალების ზრდასა და სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის სრულყოფას.

ახალი ხუთწლედის ძირითადი დავალებანი აგრეთვე ითვალისწინებენ, რომ საჭიროა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან და განვითარებად სახელმწიფოებთან ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება.

მთლიანად დირექტივების პროექტი გამოხატავს მისწრაფებას კიდევ უკეთ გამოვიყენოთ ყველა ჩვენი შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დინამიკური ზრდის ინტერესებისათვის, მთელი ხალხის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

მომავალ ხუთწლედში გათვალისწინებულია საზოგადოებრივი წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის **ზრდის მაღალი ტემპები.** მატერიალური წარმოების ყველა დარგის ჯამობრივი პროდუქცია, ანუ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, ყოველწლიურად საშუალოდ 7 პროცენტით და კიდევ მეტით გაიზრდება, მაშინ როცა გასულ ხუთწლეულში ყოველწლიური მატება 6 პროცენტზე ცოტა მეტი იყო. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური აბსოლუტური მატება 22-23 მილიარდ მანეთს მიაღწევს, ნაცვლად გასული ხუთწლეულის 15.8 მილიარდისა. გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ხუთ წელიწადში დაახლოებით 1,5-ჯერ გავზარდოთ, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა — 1,25-ჯერ.

სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებანი მიაღწევს დაახლოებით 310 მილიარდ მანეთს, ანუ ერთნახევარჯერ მეტი იქნება, ვიდრე წინა ხუთ წელიწადში. ეს საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის განვითარება, დავაჩქაროთ საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი დარგების ზრდა და აღმოვფხვრათ, როგორც დარგთაშორისი, ისე შიდასადარგო დისპროპორციები, რომლებიც ამ ბოლო წლებში სახალხო მეურნეობის ჰარმონიული განვითარების ხელისშემშლელნი გახდნენ.

**პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის განვითარებას.** დასახულია ამოცანა გავაუმჯობესოთ მატერიალური წარმოების ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი, ისე რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ქიმიზაციისა და ელექტრიფიკაციის საფუძველზე უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, თანმიმდევრულად, თანდათანობით დავუახლოვოთ სოფლის მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობისა და წარმოების ორგანიზაციით მრეწველობის დონეს.

მომავალი ხუთწლედის დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა **წარმოების საშუალებათა წარმოების (ჯგუფი „ა") და მოხმარების საგნების წარმოების (ჯგუფი „ბ") ზრდის ტემპების არსებითი დაახლოება.**

ეს ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა. რომლის გადაწყვეტაც მილიონობით ადამიანის ინტერესებს შეესაბამება. პარტია, რომელიც ხალხის კეთილდღეობას ყველაზე მაღლა აყენებს, ახალ ხუთწლედში მას დიდ ყურადღებას უთმობს.

იყო დრო, როცა მძიმე ინდუსტრიის განვითარების მაღალი ტემპების მისაღწევად გვიხდებოდა შეგნებულად შეგვეზღუდა ჩვენი მოთხოვნილებანი. ახლა მძლავრი საწარმოო ძალები გვაქვს. ისინი საშუალებას გვაძლევენ უფრო სწრაფად განვავითაროთ საზოგადოებრივი წარმოების ის დარგები, რომლებიც უშუალოდ აკმაყოფილებენ მშრომელთა მატერიალურ, კულტურულ და სხვა მოთხოვნილებებს. პარტიის ეს კურსი აისახა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ წარმოების საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების განვითარების ტემპების, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების ტემპების დაახლოების ღონისძიებებში.

აი რატომ არის, რომ თუ წინა ხუთწლეულში ჯგუფი „ა" გადიდდა 58 პროცენტით, ხოლო ჯგუფი „ბ" — 36 პროცენტით, ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია უზრუნველვყოთ წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდა 49-52 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოებისა — 43-46 პროცენტით.

როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, პარტია კვლავაც განახორციელებს მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ხაზს, უფრო სწრაფად გაზრდის წარმოების საშუალებათა წარმოებას. ამასთან, ვეყრდნობით რა მძიმე მრეწველობის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებს, შესაძლებლობა გვაქვს ახალ ხუთწლედში გაცილებით მეტი რესურსები მოვახმაროთ იმ დარგების განვითარებას, რომლებიც მოხმარების საგნებს აწარმოებენ. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერება და ამასთან განვახორციელოთ დიდი სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებანი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ახალ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა **მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას,** როგორც უმნიშვნელოვანეს სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანას.

სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა ძალები, მატერიალური და ფულადი რესურსები უნდა მოვახმაროთ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად, პირველხარისხოვან მიმართულებებს. საჭიროა მეცნიერული კვლევა განუხრელად დაკავშირებული იყოს წარმოების შემდგომი განვითარების ინტერესებთან; უნდა მოვახდინოთ სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ზუსტი სპეციალიზაცია, აღმოვფხვრათ გაუპიროვნება და პარალელიზმი მათს მუშაობაში.

ამოცანა ის არის, რომ დავაჩქაროთ შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების რენტაბელობის ზრდის ტემპი. ამ ამოცანის გადაწყვეტას უნდა მოახმარონ მთელი ენერგია პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა, მეცნიერებმა და სპეციალისტებმა, მრეწველობის ყველა მუშაკმა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარი წყარო უნდა იყოს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების განვითარებისა და დანერგვის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ გამოყენების, აგრეთვე სპეციალიზაციის გაღრმავებისა და საწარმოთა საწარმოო კოოპერირების გაუმჯობესების საფუძველზე.

ცნობილია, რომ კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია ნაყოფიერების ამაღლებისა და შრომის შემსუბუქების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ამ მხრივ ჩვენში ბევრი რამ კეთდება. მაგრამ ძირითად და დამხმარე სამუშაოთა მექანიზაციის დონის განსხვავება ჯერ კიდევ დიდია. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოები კარგად არიან აღჭურვილი უახლესი ტექნიკით, ხელის შრომის ხვედრითი წონა ნელა მცირდება. ასეთი მდგომარეობა სერიოზულად ამუხრუჭებს შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების რენტაბელობის შემდგომ ზრდას. ყველა სამეურნეო ორგანომ და საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა ბეჯითად უნდა განახორციელონ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის, ხელის შრომის ხვედრითი წონის თანმიმდევრული შემცირების, კადრების, მუშახელის უფრო რაციონალური გამოყენების კურსი.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარმოებისა და შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, ყველა საწარმოო უბნის ახალი ტექნიკით აღჭურვას. ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია გვყავდეს კვალიფიციური კადრები, რომლებსაც შეუძლიათ მთლიანად გამოიყენონ ეს ტექნიკა. პარტიამ სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში წარმატებით გადაჭრა ეს პრობლემები. წარმოების ტექნიკური დონითაც, მუშებისა და სპეციალისტების კადრების კვალიფიკაციითაც საბჭოთა მრეწველობა მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე გამოვიდა.

ბევრი ჩვენი საწარმო, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სერიოზულად ჩამორჩება წარმოების ორგანიზაციის მხრივ, რომელმაც ტექნიკა და ადამიანები ერთიან საწარმოო პროცესში უნდა გააერთიანოს. აი რატომ არის, რომ ერთ-ერთ პირველი რიგის სახალხო-სამეურნეო ამოცანად მიგვაჩნია ის საკითხი, რომ ყველა ჩვენს საწარმოში დაინერგოს წარმოებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს.

პარტიას ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ ამოცანად მიაჩნია **გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება.** ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მანქანების სამსახურის ვადის გახანგრძლივების, მათი უფრო საიმედო მუშაობის უზრუნველყოფის საკითხებს. რაც უფრო მაღალია პროდუქციის ხარისხი, მით უფრო ეფექტიანი და ნაყოფიერია მთელი საზოგადოებრივი შრომა. ეს ამოცანა სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი. ახლა როცა ჩვენ ფართოდ გავედით მსოფლიო ბაზარზე და ფართოდ ჩავებით კონკურენციულ ბრძოლაში ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საბჭოთა მანქანები, ჩარხები, მოწყობილობა, — ერთი სიტყვით, მთელი პროდუქცია, არათუ არ ჩამოუვარდებოდეს უცხოეთის ნიმუშებს, არამედ კიდევაც სჯობდეს მათ.

ჩვენმა ინდუსტრიამ მიაღწია ისეთ ტექნიკურ სიმწიფეს, როცა შეგვიძლია უზრუნველვყოთ ისეთი მანქანების, ხელსაწყოების, აპარატებისა და სხვა ნაკეთობათა გამოშვება, რომლებიც თავიანთი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით სავსებით შეესაბამებიან სახალხო მეურნეობისა და მსოფლიო ბაზრის გაზრდილ მოთხოვნებს.

ხუთწლედში დიდი ყურადღება ეთმობა **სამრეწველო წარმოების სტრუქტურის სრულყოფასა და ვიწრო ადგილების აღმოფხვრას.** შენარჩუნებულ იქნება ელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის, ელექტრონიკის უპირატესი განვითარება.

ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა სათბობის დეფიციტის აღმოფხვრა, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილში. გათვალისწინებულია ნავთობისა და გაზის მრეწველობის კიდევ უფრო დაჩქარებული განვითარება, ამასთან, არ შეიძლება, როგორც ეს ამ ბოლო წლებში მოხდა, ყურადღება შევანელოთ ქვანახშირის მრეწველობისადმი. იგი ჯერ კიდევ ასრულებს დიდმნიშვნელოვან როლს სათბობით ჩვენი ქვეყნის მომარაგებაში.

გათვალისწინებულია სერიოზულად გამოსწორდეს მეტალურგიის განვითარების საქმე. ცხოვრებამ უარყო მცდარი თვალსაზრისი, თითქოს ჩვენს დროში როცა გამოჩნდა პოლიმერული მასალები, ლითონზე მოთხოვნილება მკვეთრად შემცირდებოდა. ასეთმა თვალსაზრისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მეტალურგიის განვითარებაზე.

მინდა სპეციალურად შევჩერდე ავტომანქანების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოებაზე. საავტომობილო ტრანსპორტისა და ტრაქტორების ნაკლებობა სახალხო მეურნეობის სულ უფრო ვიწრო ადგილი ხდება; ცოტას ვუშვებთ მსუბუქ ავტომანქანებს. სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის ამ ხუთწლედში დასახულია მნიშვნელოვნად გავადიდოთ ავტომობილების წარმოება როგორც მოქმედი ქარხნების რეკონსტრუქციის, ისე ახალი ქარხნების მშენებლობის გზით, გავაფართოოთ დიდტვირთიანი და სპეციალიზებული ავტომანქანების, აგრეთვე ტრაქტორების, განსაკუთრებით სახნავი ტრაქტორების, გამოშვება, გავაუმჯობესოთ მთელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხარისხი.

ჩვენი უზარმაზარი სახელმწიფოსათვის, სადაც სულ სხვადასხვა ბუნებრივი პირობები და მოსახლეობის უთანაბრო სიმჭიდროვეა, დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება **საწარმოო ძალების სწორი განლაგების** საკითხს. დასახულია ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების ბუნებრივი სიმდიდრეთა შემდგომი ათვისება. ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკის რაც შეიძლება სწრაფი განვითარებისათვის საჭიროა ახალ ხუთწლედში განვახორციელოთ მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებიც, კერძოდ, დაგვეხმარება შევინარჩუნოთ იქ მომუშავე კადრები და მოვიზიდოთ ახალი ძალები. ეს დიდმნიშვნელოვანი პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმეა.

მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულება, აგრეთვე ამ დიდმნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების გადაჭრა მეტწილად დამოკიდებულია **კაპიტალური მშენებლობის გეგმების წარმატებით განხორციელებაზე.** პროდუქციის მატების მნიშვნელოვანი წილი მოდის საწარმოო სიმძლავრეებზე, რომლებიც მომავალ ხუთ წელიწადში უნდა ამუშავდეს.

უნდა ავაგოთ ასობით ქარხანა და ფაბრიკა, შახტი და ელექტროსადგური, ახალი ქალაქები და დაბები, საბჭოთა მეურნეობები და საკოლმეურნეო ფერმები, სარწყავი სისტემები, ელექტროგადაცემის ხაზები, მილიონობით ახალი ბინა და საცხოვრებელი სახლი, ათასობით სკოლა, საბავშვო ბაღი, ბაგა, საავადმყოფო.

უზარმაზარი მოცულობის საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის შესრულება მოითხოვს კვლავაც გავზარდოთ სამშენებლო ინდუსტრიის სიმძლავრეები, განვამტკიცოთ სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზები.

სამშენებლო წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულება იყო და არის მისი ინდუსტრიალიზაცია. მხოლოდ შემდგომი ინდუსტრიალიზაციის გზით შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ მკვეთრად შევამციროთ მშენებლობის ვადები და მისი ღირებულება. ამ საქმეში კვლავაც დიდ როლს შეასრულებს ასაწყობი რკინაბეტონი და სხვა ეფექტიანი მასალები და კონსტრუქციები. მაგრამ სწორი არ იყო ახლო წარსულში მოქმედი პრაქტიკა, როდესაც განდევნეს ეგრეთწოდებული „არაინდუსტრიული" მასალები — აგური, კრამიტი, ბუნებრივი ქვა, ხე-ტყე და ისინი შეცვალეს რკინაბეტონით იქაც კი, სადაც ეს ეკონომიურად გამართლებული არ იყო. არ შეიძლება ამ მასალების შეუფასებლობა, განსაკუთრებით სასოფლო მშენებლობაში.

(გაგრძელება მე-7 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება

(გაგრძელება)

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მშენებლობის დაჩქარებისა და ხარისხის გაუმჯობესების, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის გადიდების საკითხები. გადაჭრით უნდა დავძლიოთ მრავალრიცხოვან ობიექტზე კაპიტალური დაბანდებებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაქსაქსვის მანკიერი პრაქტიკა, რაც იწვევს მშენებლობის ვადების გაჭიანურებას, სახსრების გაყინვას. სიმძლავრეთა ნელი ამოქმედების გამო სახელმწიფოს დიდი ზარალი მოსდის.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას საჭიროდ მიაჩნიათ განახორციელონ სამშენებლო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების სრულყოფის ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მშენებლობის ვადების შემცირებას, ხარისხის გაუმჯობესებისა და მის გაიაფებას. სამშენებლო ორგანიზაციათა საქმიანობის დაგეგმვისა და შეფასების მთავარი მაჩვენებელი უნდა გახდეს საწარმოო სიმძლავრეთა რაც შეიძლება სწრაფი ამუშავება მშენებლობის მაღალ ხარისხთან ერთად. უნდა გავაძლიეროთ სამშენებლო ორგანიზაციათა, ცალკეული მუშაკებისა და კოლექტივების მატერიალური წახალისება ობიექტების დროულად ჩაბარებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები მუდმივ ყურადღებას უნდა უთმობდნენ მშენებლობის საკითხებს, უნდა ცდილობდნენ მიაღწიონ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა უფრო რაციონალურ გამოყენებას, სიმძლავრეთა დროულად ამოქმედებას, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებას, ზრუნავდნენ მშენებლების — ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის დიდი რაზმის შრომისა და ცხოვრების პირობებისათვის.

დირექტივებში ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ დიდმნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება ყველა სახეობის ტრანსპორტის განვითარების ამოცანებს. ეკონომიკის ამ დარგმა უნდა უზრუნველყოს მატერიალურ ფასეულობათა შეუფერხებელი ბრუნვა სახალხო მეურნეობაში, ხელმისაწვდომი გახადოს ჩვენი ქვეყნის ახალი ბუნებრივი რესურსები და აუთვისებელი რაიონები. ხუთწლედში დასახული ტრანსპორტის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდა, მის სხვადასხვა სახეობას შორის შეფარდების გაუმჯობესება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ამხანაგებო!

ახალი ხუთწლიანი გეგმით დაყენებულია მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის განვითარების ძირეული საკითხები, ასახულია საბჭოთა ხალხის საარსებო ინტერესები, მისი მაღალი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. საბჭოთა ადამიანები იწონებენ ხუთწლედს, უწოდებენ მას სახალხო გეგმას. პარტიას ახარებს ეს, რადგან ახალი ხუთწლიანი გეგმისადმი საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა მიაჩნია თავისი პოლიტიკის სისწორის დადასტურებად.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ინდუსტრიული ძლიერების ამაღლების პროგრამა, რომელსაც ყრილობა მიიღებს, წარმატებით განხორციელდება.

## სოფლის მეურნეობა

საანგარიშო პერიოდში პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო დიდ ყურადღებას უთმობდნენ **სოფლის მეურნეობას — ჩვენი ეკონომიკის ამ დიდმნიშვნელოვან დარგს.** ცალკეულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ჩვენი კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი კვლავ განუხრელად იზრდებიან და ვითარდებიან, მტკიცდება მათი ეკონომიკა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უმჯობესდება სოფლის მეურნეობის მშრომელთა კეთილდღეობა და მაღლდება მათი კულტურულ-ტექნიკური დონე.

სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქტების წარმოება (ყველა კატეგორიის მეურნეობათა მიხედვით) ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | 1956-1960 წლებში | | 1961-1965 წლებში | |
|---|---|---|---|---|
| | საშუალო წლიური წარმოება | ნამატის პროცენტი წინა ხუთწლეულთან შედარებით (ერთ წელზე გაანგარიშებით) | საშუალო წლიური წარმოება | ნამატის პროცენტი წინა ხუთწლეულთან შედარებით (ერთ წელზე გაანგარიშებით) |
| მარცვალი — მილიონი ტონა | 121,5 | 6,5 | 130,2 | 1,4 |
| შაქრის ჭარხალი საფაბრიკო — მილიონი ტონა | 45,6 | 13,7 | 59,0 | 5,2 |
| ხამი ბამბა — მილიონი ტონა | 4,4 | 2,3 | 5,0 | 2,7 |
| მზესუმზირა — მილიონი ტონა | 3,7 | 8,4 | 5,1 | 6,7 |
| ბოსტნეული — მილიონი ტონა | 15,1 | 6,1 | 16,7 | 2,2 |
| კარტოფილი — მილიონი ტონა | 88,3 | 4,9 | 81,5 | შემცირდა: 1,6 |
| ხორცი დაკლული წონით — მილიონი ტონა | 7.9 | 6,8 | 9,3 | 3.4 |
| რძე — მილიონი ტონა | 57,2 | 8,6 | 64,7 | 2,5 |
| კვერცხი — მილიარდი ცალი | 23,6 | 8,3 | 28,7 | 4,1 |
| მატყლი — ათასი ტონა | 317 | 7,0 | 361 | 2,7 |

ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენში სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოება იზრდება. მაგრამ მათი მატების ტემპები განვლილ ხუთწლეულში მნიშვნელოვნად მცირე იყო, ვიდრე წინა ხუთწლეულში. ამან კი, როგორც უკვე ვთქვით, ის გამოიწვია, რომ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი სოფლის მეურნეობის დარგში შეუსრულებელი აღმოჩნდა. ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია სოფლის მეურნეობის ასეთი მდგომარეობისათვის.

ყრილობის დელეგატებისათვის ცნობილია, რომ ეს საკითხი განხილულ იქნა 1965 წლის მარტის პლენუმზე. ცენტრალურმა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის ნელი განვითარების ძირითად მიზეზად მიიჩნია წარმოების განვითარების ეკონომიური კანონების მოთხოვნების, მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპების, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეხამების დარღვევა. იყო, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებიც.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სისტემის სერიოზული ნაკლოვანებანი ხელს უშლიდნენ მეურნეობის გეგმაზომიერ გაძღოლას. სოფლის მეურნეობის ბევრი პროდუქტის დამზადების ფასები ვერ ანაზღაურებდა ფაქტიურ დანახარჯებს და ამცირებდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაინტერესებას წარმოების გაფართოებით. სოფლის მეურნეობისათვის არასაკმარისად გამოიყოფოდა კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

წარმოების აღმავლობას ხელს არ უწყობდა არც სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა გაუმართლებელი გარდაქმნები, ზემოდან შაბლონური რეკომენდაციების თავს მოხვევა, მეცნიერებისა და მრავალი წლის გამოცდილების შეუფასებლობა.

მარტის პლენუმის შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების გასაუმჯობესებლად განახორციელეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობა. შემოღებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ახალი წესი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიეცათ შესყიდვის ხუთი წლის რეალური მყარი გეგმები. გადიდებულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ბევრი პროდუქტის შესყიდვის ფასები, შემოღებულია უფრო მაღალი ფასები სახელმწიფოსათვის ძირითადი მარცვლეული კულტურების გეგმის გადაჭარბებით მიყიდვისათვის. ამავე დროს შემცირდა საწარმოო დანიშნულების ბევრი საქონლის ფასები, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის განკუთვნილი ელექტროენერგიის ფასები. სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასები სოფლად შემცირებულია და ახლა შეესაბამება ქალაქის ფასებს.

ამ ღონისძიებებმა დადებითი შედეგები მოგვცა. მიუხედავად იმისა, რომ შარშან ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში, განსაკუთრებით სასაქონლო მარცვლეულის წარმოების ზონებში, სასტიკი გვალვა იყო, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ შესადარ ფასებში 55,3 მილიარდი მანეთი შეადგინა, რაც ყოველი წინა წლის პროდუქციის ღირებულებას აღემატება. 1965 წელს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიწათმოქმედების უმრავლესი პროდუქტების (მარცვლეულის გარდა) შედარებით კარგი მოსავალი მოიყვანეს.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, ამხანაგებო, რომ შარშან შესანიშნავად იშრომეს ჩვენი ქვეყნის მებამბეებმა, მეჭარხლეებმა და მეცხოველეებმა. მათი შრომის შედეგებით მართლაც შეგვიძლია ვიამაყოთ!

მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მივაღწიეთ აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებაში. აი რას მეტყველებენ სტატისტიკური მონაცემები:

**პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში:**

| | 1961 წელი | 1962 წელი | 1963 წელი | 1964 წელი | 1965 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — მილიონი სული წლის დამლევისათვის | 58,2 | 62,5 | 61,3 | 62,1 | 65,5 |
| მათ შორის: ძროხა | 20,1 | 21,8 | 22,3 | 22,6 | 23,5 |
| ღორი — მილიონი სული | 49,4 | 53,9 | 27,7 | 38,3 | 41,3 |
| ცხვარი და თხა — მილიონი სული | 109,1 | 110,9 | 108,4 | 100,2 | 103,1 |
| ფრინველი — მილიონი ფრთა | 152,0 | 154,5 | 97,7 | 127,8 | 140,2 |
| რძის საშუალო წველადობა ერთ ძროხაზე — კილოგრამი | 1851 | 1765 | 1599 | 1700 | 2006 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაძლიეს 1963 წელს შექმნილი სერიოზული სიძნელეები და მიაღწიეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მათ შორის ძროხის სულადობის, აგრეთვე ღორისა და ფრინველის სულადობის ზრდას, თუმცა ღორისა და ფრინველის სულადობამ ვერ მიაღწია 1962 წლის დონეს. გასულ წელს რძის საშუალო წველადობა თითო ძროხაზე 306 კილოგრამით გაიზარდა. 1965 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს წარმოება და შეასრულეს მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმა.

ჩვენ მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვან, მაგრამ ჯერ ისევ ჩამორჩენილ დარგს. ახალ ხუთწლედში ამოცანა ის არის, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობა განვავითაროთ როგორც პირუტყვის სულადობის ზრდის, ისე, უმთავრესად, მისი პროდუქტიულობის გადიდების გზით. ასეთი მიდგომა შესაძლებლობას მოგვცემს უახლოეს დროში მნიშვნელოვნად გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და გავზარდოთ მისი რენტაბელობა. მარცვლის მთლიანი მოსავლის შემდგომი ზრდა, სათიბებისა და საძოვრების კარგი გამოყენება, სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება ფერმებში და პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს გადავწყვიტოთ ეს ამოცანა.

საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცების მიზნით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ დასახეს ღონისძიებანი კომბინირებული საკვების მრეწველობის, აგრეთვე საკვები ცილების, მიკროელემენტებისა და ანტიბიოტიკების წარმოების მრეწველობის გაფართოებისათვის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევქმნათ ახალი დარგი — მიკრობიოლოგიური მრეწველობა და სათანადოდ განვავითაროთ იგი.

ამხანაგებო!

ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი დადებით გავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ადამიანები დარწმუნდნენ, რომ პარტიის მიერ შემუშავებული ეკონომიური პოლიტიკა სოფლად სწორია, და საქმით დაუჭირეს მას მხარი. ეს კი მთავარია!

**კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების აღმავლობა მთელი ჩვენი პარტიისა და ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.** ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია სოფლის მეურნეობაში განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა შექმნას პირობები სოფლის საწარმოო ძალთა შემდგომი ზრდისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში დისპროპორციის ლიკვიდაციისათვის. ამ ამოცანის გადაჭრის საფუძვლებს შეიცავს ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტი. გათვალისწინებულია, რომ თითქმის ერთიორად გაიზრდება კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში. ხუთწლეულში გათვალისწინებულია სოფელს მივაწოდოთ განვლილ ხუთწელთან შედარებით მეტი: 700 ათასი ტრაქტორი და 680 ათასი სატვირთო ავტომანქანა, 4 მილიარდი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ელექტროენერგიის საერთო მოხმარება სოფლის მეურნეობაში დაახლოებით სამჯერ გაიზრდება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ სულ უფრო მეტ მინერალურ სასუქებს; 1970 წელს მათი მიწოდება გასულ წელთან შედარებით ერთიორად გადიდდება.

სოფლის მეურნეობაში უმნიშვნელოვანესი ამოცანა კვლავ არის **მარცვლის წარმოების გადიდება.** წინათ ეს პრობლემა უპირატესად იჭრებოდა სათესი ფართობის გადიდებით. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები რამდენადმე შემდგომშიც გააფართოებენ მარცვლოვანი კულტურების ნათესებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და, უწინარეს ყოვლისა, სახნავების უფრო რაციონალური გამოყენების გზით. **მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით გავზარდოთ თითოეული ჰექტარი მიწის მოსავლიანობა.** დღეს ეს არის საერთოდ სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მარცვლის წარმოების განვითარების ტემპების დაჩქარების გადამწყვეტი პირობა. გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ბრინჯისა და ბურღულეული კულტურების ნათესები, რათა უფრო მალე და მთლიანად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება მათზე. აგრეთვე გათვალისწინებულია ისეთი დიდმნიშვნელოვანი კულტურების წარმოების გადიდება, როგორიც არის კარტოფილი და ბოსტნეული, ბამბა, სელი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, ჩაი, ხილი, ყურძენი.

მომავალ წლებში გათვალისწინებულია საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით განხორციელდეს სამუშაოები **ჩვენი ქვეყნის ყველა ზონის ნიადაგის ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის.**

ჩვენ სოფლის მეურნეობის წარმოება გვიხდება სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაიონებში. ზოგ ადგილას ნათესებზე დამღუპველად მოქმედებს გვალვა, სხვაგან ნათესებს ღუპავს ზედმეტი ტენიანობა. ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას მიაჩნიათ, — იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას უხვი მყარი მოსავალი იმ ზონებში, სადაც არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებია, საჭიროა განხორციელდეს სამელიორაციო სამუშაოთა ფართო პროგრამა. უწინარეს ყოვლისა ეს საჭიროა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრალურ ზონაში, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთში, რუსეთის სფსრ და უკრაინის სამხრეთ რაიონებში, ყაზახეთში, შუა აზიის რესპუბლიკებსა და ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ სხვა რაიონში. შესაძლოა, ამ საკითხს უნდა მიეძღვნას პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მორიგი პლენუმი.

მიწა ჩვენი საზოგადოების სიმდიდრის უდიდესი წყაროა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია. ამ სიმდიდრის შენარჩუნება და მისი ნაყოფიერი გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდა, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა, იქ, სადაც ეს საჭიროა, ტყის გაშენება დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმედ უნდა მივიჩნიოთ.

ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია კიდევ ერთ საკითხს მიაქციოს ყურადღება. საქმე ეხება სამანქანო ტექნიკის გამოყენებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სოფელი წლითიწლობით სულ უფრო მეტი რაოდენობით იღებს ტრაქტორებს, ავტომანქანებს, კომბაინებსა და სხვა მანქანებს. სულ უფრო ინდუსტრიული ხდება სოფლად შრომა. ამავე დროს, ბოლო წლებში შემცირდა მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების ბევრი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელი. არის მექანიზატორთა კადრების დენადობა. ყოველივე ეს ქმნის სიძნელეებს. ყოველნაირად უნდა განვამტკიცოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სარემონტო ბაზა, აღვჭურვოთ „სოფლტექნიკის" საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თანამედროვე მოწყობილობით, გავაუმჯობესოთ მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმე, გავადიდოთ მათი მატერიალური დაინტერესება. თუ განუწყვეტლივ არ მოვამარაგეთ სოფლის მეურნეობა ტექნიკით, თუ კარდინალურად არ გადავწყვიტეთ მისი რემონტისა და მომსახურების საკითხები, არ გავაუმჯობესეთ სულ სხვადასხვა კვალიფიკაციის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმე, ისე თანამედროვე პირობებში წარმატებით ვერ გადავწყვეტთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის ამოცანას.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებისათვის საჭიროა **კიდევ უფრო სრულვყოთ საზოგადოებრივი ურთიერთობა სოფლად.** მრავალი წლის გამოცდილებამ დამაჯერებლად დაადასტურა საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაციის როგორც საკოლმეურნეო, ისე საბჭოთა მეურნეობრივი ფორმის სიცოცხლისუნარიანობა. მიუხედავად ამისა, ამ ბოლო წლებში იყო ბევრი კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნის გაუმართლებელი ცდები. მარტის პლენუმმა გამოასწორა ეს მდგომარეობა.

როგორც ცნობილია, მიღებულია გადაწყვეტილება კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევის შესახებ, რომელიც განიხილავს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ წესდებას. ეს ყრილობა დიდი პოლიტიკური ღონისძიება იქნება საკოლმეურნეო მშენებლობაში, ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო სისტემის შემდგომ განმტკიცებას.

ამჟამად კოლმეურნეობები ეკონომიურად ძლიერი, მსხვილი მაღალმექანიზებული მეურნეობანი გახდნენ, მნიშვნელოვნად გაფართოვდა მათი კავშირი და ურთიერთობა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, განუზომლად ამაღლდა საკოლმეურნეო წარმოების კადრების, ყველა მშრომელთა პოლიტიკური და კულტურული დონე. მოდით მოვითათბიროთ, იქნებ სჯობდეს შევქმნათ არჩევითი საკოლმეურნეო-კოოპერაციული ორგანოები რაიონებში, ოლქებში, მხარეებში, რესპუბლიკებსა და ცენტრში. მართვის ასეთი დემოკრატიული ფორმა საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ კოოპერაციულ მეურნეობათა უპირატესობანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო და ეკონომიური ურთიერთობა, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ბუნებრივი, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსები, გავაუმჯობესოთ პროდუქციის გადამუშავებისა და გასაღების ორგანიზაცია.

ამ წინადადების შემოტანისას ჩვენ ვითვალისწინებთ წარსულ გამოცდილებასაც. როგორც ცნობილია, საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებში საბჭოთა კავშირში იყო კოლექტიურ მეურნეობათა მართვის ისეთი სისტემა კოლმეურნეობათა ადგილობრივი კავშირებისა და კოლმეურნცენტრის სახით, რომლებიც ავტორიტეტით სარგებლობდნენ გლეხთა შორის.

ეს იქნება კოოპერაციის ლენინური გეგმის იდეის შემდგომი განხორციელება და გახვითარება, საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ საკოლმეურნეო წყობილების უფრო მეტი დემოკრატიზაცია, სამეურნეო, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მივაღებინოთ კოლმეურნე გლეხობის ფართო მასებს.

ამასთანავე საჭიროა გავაძლიეროთ საბჭოთა მეურნეობების, როგორც სახელმწიფო საწარმოების როლი სოფლად. თვითეული საბჭოთა მეურნეობა ყოველმხრივ უნდა გახდეს მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის გაძღოლის ნიმუში.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე ამოცანა ის არის, რომ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი როგორც საბჭოთა მეურნეობების, ისე კოლმეურნეობების განვითარებასა და აყვავებას.

ამხანაგებო!

პარტია სავსებით ითვალისწინებს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობა ადვილი საქმე როდია. სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ ახლა, როცა სოფლის მეურნეობის განვითარებას უზარმაზარი მატერიალური და ტექნიკური რესურსები ხმარდება, ყველაფერი თავისთავად გაკეთდება.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის მოვალეობაა უნარიანად, მომჭირნედ, რაც შეიძლება მეტი ამოგებით გამოიყენონ თვითეული ჰექტარი მიწა, კაპიტალური დაბანდების თვითეული მანეთი, თვითეული მანქანა, თვითეული ტონა სასუქი.

სოფლის მეურნეობის დარგში დასახული გეგმების შესრულება დამოკიდებული იქნება სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივასა და ენერგიაზე, შრომის სწორ ორგანიზაციაზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა, ინჟინერ-მექანიზატორთა, ეკონომისტთა მუშაობის დონეზე.

სოფლის მეურნეობის შემდგომ პროგრესში უდიდესი როლი ეკუთვნის მეცნიერებას და მისი მიღწევების გამოყენებას წარმოებაში. ეჭვი არ გვეპარება, რომ მეცნიერები და პრაქტიკოსი სპეციალისტები შემოქმედებითად, ძალღონის დაუზოგავად იშრომებენ სასოფლო-სამეურნეო, ბიოლოგიური და ეკონომიური მეცნიერების თანამედროვე პრობლემების გადასაჭრელად, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

პარტიის საოლქო, სამხარეო და რაიონული კომიტეტები განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდნენ წარმოების ყველა უბნის კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის, მეტ პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ მათ. უნდა გავაუმჯობესოთ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელებთან, გავააქტიუროთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობა. გავაძლიეროთ მათი ბრძოლისუნარიანობა.

ნება მიბოძეთ ყრილობის სახელით გამოვთქვა ღრმა რწმენა, რომ რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, სოფლის ყველა მშრომელნი — კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, მრეწველობის მუშაკები, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეკვეთებს ასრულებენ, მეცნიერები და სპეციალისტები საბჭოთა ადამიანებისათვის ჩვეული ენერგიითა და სიბეჯითით მებრძოლურად მოეკიდებიან იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც პარტია სახავს სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში, და პირნათლად შეასრულებენ ამ ამოცანებს!

ამხანაგო დელეგატებო!

კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ახალ ხუთწლიან გეგმას იწონებენ და მხარს უჭერენ აგრეთვე მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები და პარტიები. ეს ძალებს, კარგ განწყობილებასა და რწმენას გვმატებს. ახალ ხუთწლედს მიესალმებიან და იწონებენ კომუნისტები და მთელი ჩვენი მეგობრები კაპიტალისტურ ქვეყნებში, იგი მიაჩნიათ კიდევ ერთ წინგადადგმულ ძლევამოსილ ნაბიჯად კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე. საბჭოთა ხელისუფლების არაკეთილმოსურნენი და აშკარა მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ ჩვენი გეგმების რეალურობა.

ყრილობის მიერ დასახული პოლიტიკური ხაზისა და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკული პროგრამის განხორციელება კიდევ უფრო აამაღლებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და თავდაცვით ძლიერებას, ავტორიტეტსა და გავლენას. ეს იქნება კიდევ ერთი ლახვრის ჩაცემა იმპერიალიზმისათვის, კომუნისტური პარტიის, სოციალისტური სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური გამარჯვება.

ამჟამად მთავარი ის არის, რომ მთელი ჩვენი მეცადინეობა წარვმართოთ ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად. ახალ პირობებში კიდევ უფრო იზრდება პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საწარმოო კოლექტივების მუშაობისათვის, რაიონების, ქალაქების, ოლქების, მხარეების, რესპუბლიკების ეკონომიური განვითარებისათვის. ისინი პარტიის მიერ დასახული გეგმების განხორციელების ნამდვილი ორგანიზატორები უნდა იყონ, ავითარებდნენ შემოქმედებითს ინიციატივას, მშრომელი მასების შეჯიბრებას, მხარს უჭერდნენ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას.

პარტია პარტიულ და სამეურნეო კადრებს უსახავს უმნიშვნელოვანეს ამოცანას — დაეუფლონ თანამედროვე მეცნიერულ ცოდნას ტექნიკის, ეკონომიკისა და წარმოების ორგანიზაციის დარგში. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი ბეჯითად უნდა სწავლობდეს ახალ პირობებში წარმოების ხელმძღვანელობას, უნარიანად გადაწყვიტოს შრომის ორგანიზაციის საკითხები. ძირეულად უნდა გავაუმჯობესოთ კადრების მომზადება და გადამზადება წარმოების მართვის დარგში.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ სახალხო მეურნეობის მართვის ახალი სისტემის თანმიმდევრულად დანერგვისათვის, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ მისი შესაძლებლობანი.

რა დიდმნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა შეიძლება ზემოთქმულიდან?

**ჯერ ერთი,** საბჭოთა ეკონომიკა მთელი ამ წლების განმავლობაში სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა; მოხდა დიდმნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებანი მის სტრუქტურაში. ამის მეოხებით შეიქმნა საჭირო წანამძღვრები მორიგი, უფრო რთული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც დასახულია ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტში.

**მეორე,** საანგარიშო პერიოდმა ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია შემოქმედებითად და გაბედულად წყვეტს სახალხო მეურნეობის მართვის ურთულეს პრობლემებს, უკუაგდებს ყოველივე იმას, რამაც ვერ გაუძლო ცხოვრების გამოცდას და ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ უკანასკნელ პლენუმებზე შემუშავებულია ძირეული სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრის სწორი გზა, რომელიც დააჩქარებს ჩვენი განვითარების ტემპებს.

**მესამე,** საბჭოთა კავშირი კვლავ განამტკიცებდა თავის პოზიციებს ეკონომიურ შეჯიბრებაში მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებთან. განვლილმა წლებმა კვლავ დაადასტურა, რომ წარმოების განუხრელი გაფართოება სწრაფი და, რაც მთავარია, მყარი ტემპებით ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებაა. ასეთი განვითარების ძალა არ შესწევთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს არის სოციალიზმის უდავო უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით.

ამხანაგებო! მთელ ჩვენ ქვეყანაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ყრილობას მოსდის მრავალი შრომითი პატაკი ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან. მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე, ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულეს ახალი ხუთწლედის პირველი წლის პირველი კვარტალის გეგმა. გეგმის გადაჭარბებით ჩვენი ქვეყანა მიიღებს დიდძალ ლითონს, ელექტროენერგიას, ქვანახშირს, მინერალურ სასუქებს, ცემენტს, კაუჩუკს, ავტოსაბურავებს, მანქანებსა და მოწყობილობას, ტანსაცმელს, ზედა ტრიკოტაჟს, ტყავის ფეხსაცმელს და მთელ რიგ კვების პროდუქტებს.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 20 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის კვარტალური გეგმა. ძირითადად დამთავრდა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში გაჩაღებულია საგაზაფხულო თესვა. კოლმეურნენი, მექანიზატორები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები თესვის დროს მაღალ ორგანიზებულობას იჩენენ.

დაე ამაყად ფრიალებდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის პარტიისა და ხალხის ბრძოლის მთელ გზაზე სოციალისტური შეჯიბრების დროშა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე აღმართა გმირმა მუშათა კლასმა!

პარტიას ღრმად სწამს, რომ უშრეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით აღსავსე საბჭოთა ხალხი ახალ შესანიშნავ შრომით საგმირო საქმეებს ჩაიდენს დიადი მიზნისათვის — კომუნიზმისათვის!

(გაგრძელება მე-8 გვერდზე).

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება

## III.

## ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლება, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება

ამხანაგებო!

სოციალისტურმა წყობილებამ, რომელმაც უზრუნველყო ეკონომიკის, საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარება, უაღრესად ხელსაყრელი პირობები შექმნა მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელთა ცხოვრების განუხრელი გაუმჯობესებისათვის. მხოლოდ სოციალიზმის დროს შეიძლება განხორციელდეს პრინციპი მატერიალური დოვლათის განაწილებისა შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, რადგან აქ ბატონობს საზოგადოებრივი საკუთრება, არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, განხორციელდა საზოგადოების ყველა წევრის თანასწორობა წარმოების საშუალებების მიმართ.

საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის კვალობაზე უმჯობესდება თვითეული მშრომელის მატერიალური კეთილდღეობა. საბჭოთა კავშირის ეროვნული შემოსავალი ერთ-ერთი ყველაზე დიდია მსოფლიოში. იგი განუწყვეტლივ იზრდება, ხოლო მასთან ერთად იზრდება მშრომელთა შემოსავალიც. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ეროვნული შემოსავალი 33 პროცენტით გადიდდა და შარშან 190 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ამ თანხის თითქმის სამი მეოთხედი — 141 მილიარდი მანეთი გამოყენებულია საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

პარტია, საბჭოთა სახელმწიფო, ეყრდნობიან რა ეკონომიკის განვითარებაში მოპოვებულ წარმატებებს, ყოველ ღონეს ხმარობენ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. საანგარიშო პერიოდში მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 19 პროცენტით გაიზარდა. გადიდდა იმ დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურება, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას, მათ შორის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ვაჭრობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკებისა.

ამავე დროს შემცირდა შალის, აბრეშუმის, სელის ქსოვილების, ცალკეულ სახეობათა ტანსაცმლის, საბავშვო ასორტიმენტის შეკერილი ნაწარმის, საათების, ველოსიპედების, ფოტოაპარატების, მედიკამენტებისა და მასობრივი მოხმარების ზოგიერთი სხვა საქონლის ფასები.

ჩვენს პირობებში ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ფონდები. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობის მიერ მიღებულმა სხვადასხვა დახმარებამ და შეღავათებმა 1965 წელს 41,5 მილიარდ მანეთს მიაღწია ნაცვლად 1960 წლის 27,3 მილიარდი მანეთისა. ამ ფონდების ხარჯზე გადიდებულია პენსიები, შემოღებულია დამატებითი შეღავათები დიდი სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის. დიდმნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიება იყო კოლმეურნეთა პენსიების შემოღება. 70 მილიონზე მეტი კაცი უფასოდ სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და კურსებზე. ყოველწლიურად ფართოვდება საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი. ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას 4 მილიონზე მეტი ექიმი და ჯანმრთელობის დაცვის სხვა მუშაკი ემსახურება. ბავშვების რაოდენობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში თითქმის ერთი ორად გაიზარდა და დაახლოებით 8 მილიონს შეადგენს.

ჩვენ სიამაყით აღვნიშნავთ ამ დიდ სოციალურ ღონისძიებებს, ვინაიდან ასეთი ღონისძიებანი შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ხალხის ინტერესებს ექვემდებარება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა მუდამ ზრუნავდნენ იმისათვის, რომ გაზრდილიყო საბინაო მშენებლობის მასშტაბები. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქალაქებში, მუშათა დაბებსა და საბჭოთა მეურნეობებში აგებულია 393 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ორ მილიონზე მეტი ახალი სახლი აშენდა საკოლმეურნეო სოფლებში. უმჯობესდება ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობა.

ბევრს ვაშენებთ, მაგრამ საბინაო საკითხი მაინც ყველაზე მწვავეა. პარტიას, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, საჭიროდ მიაჩნია გადიდდეს ასიგნობანი საბინაო მშენებლობისათვის, გაფართოვდეს სამშენებლო ბაზა, გაუმჯობესდეს ბინების ხარისხი, სახელმწიფო დაბანდებებთან ერთად, ყოველმხრივ უნდა გაფართოვდეს საბინაო კოოპერაცია. გათვალისწინებულია ახალ ხუთწლედში ქალაქებში, მუშათა დაბებსა და საბჭოთა მეურნეობებში აიგოს 480 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამასთან სახელმწიფოსა და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის სახსრებით აიგება 100 მილიონი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში. გარდა ამისა სოფლის მოსახლეობისა და კოლმეურნეობების ძალებით აიგება 2-2,5 მილიონი სახლი. გათვალისწინებულია საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის გამოიყოს 45 მილიარდ მანეთზე მეტი ნაცვლად გასულ ხუთ წელიწადში დახარჯული 35 მილიარდი მანეთისა.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოები ვალდებული არიან მიაღწიონ იმას, რომ შესრულდეს საბინაო მშენებლობის გეგმები, გააძლიერონ ყურადღება ბინის ექსპლოატაციის და რემონტის საკითხებისადმი, უზრუნველყონ ზუსტი და მტკიცე წესრიგი საცხოვრებელი ფართობის განაწილებაში, ფართო საჯაროობა ამ საქმეში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, აღარ შეიძლება ვურიგდებოდეთ მშენებლობის ჩამორჩენას სოფლად, სამწუხაროდ, მრავალი წლის მანძილზე ჩვენში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა სოფლად საბინაო მშენებლობას, აგრეთვე სოფლების სწორ განაშენიანებასა და კეთილმოწყობას. საჭიროა ფართოდ გაიშალოს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა სოფლად. საჭიროა მნიშვნელოვნად გავააქტიუროთ ამ საქმეში თვითონ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ამხანაგებო!

უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი მოსახლეობის კვების პროდუქტებითა და მრეწველობის საქონლით უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა ვაჭრობის განვითარებისათვის. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1965 წელს 104.6 მილიარდ მანეთს შეადგენდა და 1960 წელთან შედარებით 34 პროცენტით გაიზარდა.

ყრილობის დელეგატებმა იციან, რომ ამ საქმეში შესამჩნევ წარმატებებს მივაღწიეთ. შეუფერხებლად წარმოებდა მოსახლეობისათვის პურფუნთუშეულისა და მაკარონის ნაწარმის, რძისა და რძის პროდუქტების, კვერცხის, კარაქისა და მცენარეული ზეთის, შაქრის, საკონდიტრო და სხვა პროდუქტების მიყიდვა. შარშან ეს პროდუქტები მეტი მიეყიდა მოსახლეობას, ვიდრე რომელიმე სხვა წინა წელს.

მაგრამ ზოგიერთი საქონლის წარმოება ჩამორჩება მოსახლეობის მოთხოვნილებებს. სავაჭრო ქსელში ყველგან როდი აქვთ ხორცის პროდუქტების ფართო ასორტიმენტი. მიუხედავად იმისა, რომ რძის რესურსები საკმაო რაოდენობით გვაქვს, ჯერ კიდევ ცოტა მზადდება მაწონეული, ყველი; შეზღუდულია დიეტური პროდუქტების ასორტიმენტი, მთლიანად არ კმაყოფილდება მოთხოვნილება წიწიბურას ბურღულსა და ბრინჯზე. ცენტრალური კომიტეტი ახალ ხუთწლედში სოფლის მეურნეობას უსახავს დიდ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდამ უკანასკნელ წლებში გამოიწვია სამრეწველო საქონელზე მოთხოვნილების მნიშვნელოვანი გადიდება. 1965 წელს მრეწველობამ გამოუშვა ყველა სახეობის ცხრა მილიარდ მეტრზე მეტი ქსოვილები, 486 მილიონი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი. გადიდდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის გაყიდვა. მარტო შარშან მოსახლეობას მიეყიდა 3,3 მილიონი ტელევიზორი, 4,8 მილიონი რადიომიმღები, თითქმის 1,5 მილიონი მაცივარი, 3 მილიონზე მეტი სარეცხი მანქანა და ბევრი სხვა საგანი. ეს უკვე კარგია, ამხანაგებო.

ამასთანავე მშრომელები სამართლიანად უყენებენ სერიოზულ პრეტენზიებს მსუბუქი მრეწველობისა და სხვა იმ დარგების მუშაობას, რომლებიც სახალხო მოხმარების საგნებს უშვებენ. ბაზარი ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით ვერ იღებს საჭირო საქონელს. მაღაზიებში ყოველთვის ვერ შეიძენთ ლამაზ ტანსაცმელს ბავშვებისათვის, საჭირო კაბას, კოსტიუმს თუ პალტოს, ყოველთვის ვერ შეარჩევთ გემოვნების შესაფერის ფეხსაცმელს. ყველა საწარმო, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს უშვებს, როდი ითვალისწინებს მყიდველთა გაზრდილ მოთხოვნილებებსა და გემოვნებას. სამკერვალო, საფეიქრო და ფეხსაცმლის მრეწველობის ბევრი ნაწარმი დაბალი ხარისხისაა.

სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ, ამხანაგებო, ამ დარგში, რათა გამოვასწოროთ მდგომარეობა. ახალი ხუთწლედის წლებში გათვალისწინებულია კიდევ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ფართო მოხმარების საქონელზე. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საქონლისა და ნაწარმის ხარისხის, გარეგნული გაფორმების გაუმჯობესებას.

დასახულია მკვეთრად გავაფართოოთ მსუბუქი, კვების, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოთა მშენებლობა, რომლებიც საქონელს აწარმოებენ მოსახლეობისათვის. ამ მიზნით 1966-1970 წლებისათვის გამოიყოფა დაახლოებით 15 მილიარდი მანეთი, ანუ თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე გასულ ხუთწლეულში დაიხარჯა. მოხმარების საგნების წარმოების გაფართოებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება მსუბუქი, კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა ფართო მოხმარების საქონლის წარმოება დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანად უნდა მიიჩნიონ. უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ შესაძლებლობანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის არა მარტო მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში, არამედ ყველა სხვა დარგშიც. ბევრი დამატებითი პროდუქცია, ამასთან განსაკუთრებული კაპიტალური დანახარჯების გაუწევლად, შეიძლება მივიღოთ სოფლის შრომითი და ნედლეულის რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების გზით. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განვითარების ფართო გზა უნდა მივცეთ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ნამეტის, ველური ხილისა და ადგილობრივი ბუნებრივი მასალების გადასამუშავებელ სხვადასხვა სარეწებსა და დამხმარე საწარმოებს.

გათვალისწინებულია უფრო ფართოდ გაიშალოს მაღაზიების, მაცივრების, საწყობების, საცავების, სხვა სავაჭრო და დამხმარე საწარმოთა მშენებლობა. მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნით ქალაქებისა და სოფლების ვაჭრობის მუშაკებს, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან განავითარონ და სრულყონ ვაჭრობის ახალი, მოსახლეობისათვის უფრო მოხერხებული ფორმები.

ძირეულად უნდა გავაუმჯობესოთ მოსახლეობის, კერძოდ სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, გავაფართოოთ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი, გავადიდოთ სამრეცხაოების, საპარიკმახეროების, ტანსაცმლის ქიმიური წმენდის ფაბრიკებისა და სახელოსნოების, სამკერვალო და სარემონტო სახელოსნოების რიცხვი, მომსახურების სფეროს ეს უბანი განვამტკიცოთ ინიციატივიანი კადრებით.

ყველა ამ ღონისძიების წარმატებით განხორციელება საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით, ვავაფართოოთ საქონელბრუნვა.

ამხანაგებო!

ჩვენი პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. იგი ისწრაფვის აამოქმედოს ყველა ეკონომიური ბერკეტი, რომლებიც ხელს უწყობენ სახალხო მეურნეობის განვითარებას. წარმოების მოცულობის გადიდების, შრომის ნაყოფიერებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის საფუძველზე შევძლებთ ამ ხუთწლედში კიდევ უფრო ავამაღლოთ საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონე. **რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ხუთწლედში დაახლოებით 1,3-ჯერ გადიდდება.**

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ მშრომელთა შემოსავლის გადიდების მთავარი მიმართულება უნდა იყოს მუშებისა და მოსამსახურეების ფულადი ხელფასის ზრდა, შრომის ანაზღაურების გადიდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში. ხელფასის საკითხი დიდი პოლიტიკური და სამეურნეო საკითხია, მისი გადაწყვეტა ეხება მილიონობით ადამიანის საარსებო ინტერესებს.

ამ ხუთწლედში გათვალისწინებულია გადიდდეს ხელფასის მინიმალური ოდენობა სახალხო მეურნეობაში 60 მანეთამდე თვეში. ახალი მინიმუმის შემოღებისა და საშუალოხელფასიანი კატეგორიის მუშათა და მოსამსახურეთა განაკვეთებისა და სარგოების გადიდებისათვის საჭირო იქნება, დაახლოებით ერთ წელზე გაანგარიშებით, 12,5 მილიარდი მანეთი. ეს უზარმაზარი თანხაა.

გაძლიერდება უპირატესობანი შრომის ანაზღაურებაში და გაფართოვდება შეღავათები შორეული ჩრდილოეთის, შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის რაიონების მუშაკებისათვის. აქ გათვალისწინებულია აგრეთვე უფრო დიდი კაპიტალური დაბანდებანი საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, სკოლამდელ და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისათვის, რაც კარგ სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიური რაიონების განვითარების საქმეს.

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ შრომის ანაზღაურებას კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობათა შემოსავლის განაწილების ახლანდელი პრაქტიკა ხშირად იწვევს იმას, რომ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში იქმნება მერყეობა და ბევრ კოლმეურნეობაში გარანტირებული არ არის მუდმივი გასამრჯელო შესრულებული სამუშაოსათვის. ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია თანდათანობით განვახორციელოთ დიდი ამოცანა — შემოვიღოთ კოლმეურნეთა ყოველთვიური გარანტირებული ხელფასი დაახლოებით საბჭოთა მეურნეობების მუშების ხელფასის დონის მიხედვით სამუშაოთა სახეობისა და გამომუშავების ნორმების შესაბამისად. ეს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებისა და კოლმეურნეთა ცხოვრების დონის ამაღლების ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება.

ხელფასის გადიდებასა და მოწესრიგებასთან ერთად ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია საქონლის საცალო ფასების შემცირება საქონლის წარმოების ზრდისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების კვალობაზე. ეს აგრეთვე ხელს შეუწყობს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ამხანაგებო!

ამ ბოლო დროს ჩვენ ცდის სახით ნება დავრთეთ ივანოვოს, პერმის, დნეპროპეტროვსკისა და ზოგიერთი სხვა ოლქის რამდენიმე საწარმოს გადავიდნენ ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ორი დასვენების დღით. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებისას ამ საწარმოებში შესამჩნევად გაუმჯობესდა საწარმოო მაჩვენებლები.

ცენტრალურ კომიტეტს, ეყრდნობა რა ამ გამოცდილებას და ითვალისწინებს მშრომელთა სურვილებს, შესაძლებლად მიაჩნია გადაიყვანოს მუშები და მოსამსახურეები ხუთდღიან სამუშაოზე კვირაზე ორი დასვენების დღით, ამასთან შენარჩუნებულ იქნება 41-საათიანი სამუშაო კვირა. მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ახალ პირობებზე გადაყვანა უნდა განხორციელდეს თანდათანობით, იმის კვალობაზე, თუ რამდენად მზად არიან საწარმოები იმუშაონ ახალი რეჟიმით. ისე, რომ ამის შედეგად მოიგონ მშრომელებმა და ჩვენმა სახელმწიფომ.

ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღებას დიდი სოციალური მნიშვნელობა ექნება ჩვენი საზოგადოებისათვის, რადგან იგი შექმნის დამატებით შესაძლებლობებს შრომის პირობების გაუმჯობესებისა და მუშებისა და მოსამსახურეების მიერ თავიანთი თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისათვის იქმნება უფრო ფართო შესაძლებლობანი დასვენებისათვის, ბავშვთა აღზრდისათვის, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლისათვის, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის.

ამხანაგებო!

ზრუნვა იმ ადამიანთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის, რომლებმაც თავიანთი ცხოვრების მეტი წილი მოახმარეს შრომას, ახლა კი დამსახურებულ დასვენებაზე გადავიდნენ, სოციალისტური სახელმწიფოს მოვალეობაა. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით პენსიით უზრუნველყოფა ჩვენში ხორციელდება მთლიანად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე. ამჟამად პენსიებს ყოველწლიურად ხმარდება დაახლოებით 11 მილიარდი მანეთი, რაც ეროვნული შემოსავლის არსებით ნაწილს შეადგენს.

მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია პენსიით უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესება. კერძოდ დასახულია:

— გადიდდეს მუშებისა და მოსამსახურეების მოხუცებულობის გამო პენსიათა მინიმალური ოდენობა;

— გავრცელდეს კოლმეურნეებზე ასაკის მიხედვით პენსიაზე გადასვლის პირობები, რომლებიც განსაზღვრულია კანონში მუშებისა და მოსამსახურეების პენსიათა შესახებ. ამასთან დაწესდეს საპენსიო ასაკი ქალებისათვის 55 წლიდან, ხოლო მამაკაცებისათვის — 60 წლიდან;

— გადიდდეს კოლმეურნეებისათვის მოხუცებულობის გამო პენსიათა მინიმალური ოდენობა, აგრეთვე გავრცელდეს კოლმეურნეებზე პენსიების გაანგარიშების წესი, რომელიც დადგენილია მუშებისა და მოსამსახურეებისათვის;

— გაუმჯობესდეს მუშების, ყველა მშრომელთა უზრუნველყოფა დახმარებით შრომისუნარიანობის დაკარგვის დროისათვის.

აგრეთვე გაგრძელდება მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასიდან გადასახადების გაუქმება და შემცირება.

ხუთწლედის დიდმნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ იგი ითვალისწინებს ახალ სერიოზულ ღონისძიებებს, რომელთა შედეგად უფრო მეტად დაუახლოვდება ერთმანეთს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების დონე, ამასთან საერთოდ ამაღლდება ცხოვრების დონე საბჭოთა კავშირში. ამ ღონისძიებების განხორციელებით ხელს შევუწყობთ იმ დროის მოახლოებას, როცა გაქრება არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. ყველა ამ ღონისძიების პოლიტიკური მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ისინი კიდევ უფრო განამტკიცებენ მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევ კავშირს. მთელი საბჭოთა ხალხის მონოლითური ერთიანობა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ახალი შესანიშნავი მონაპოვარი იქნება.

ამხანაგებო!

თანამედროვე ეპოქის მკაფიო თვისებაა **მეცნიერების** უმაგალითოდ სწრაფი განვითარება, მისი გაძლიერებული გავლენა მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა მხარეზე. ჩვენს დროში შეუძლებელია საწარმოო ძალთა ზრდის ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა, თუ ფართოდ არ გავშალეთ მეცნიერული კვლევა და სწრაფად არ ავითვისეთ მისი შედეგები წარმოებაში. მეცნიერების გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად ძირეულად გარდაქმნის ადამიანის შრომითი საქმიანობის ხასიათს. სოციალიზმის პირობებში მეცნიერება ცვლის არა მარტო ადამიანის შრომის ხასიათს, არამედ მთელი მისი ცხოვრების მატერიალურ, სულიერ წყობას.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა აღზარდეს კომუნიზმის საქმის ერთგულ, შესანიშნავ მეცნიერთა მთელი არმია, რომლებსაც უნარი შესწევთ გადაჭრან თანამედროვეობის ურთულესი მეცნიერული პრობლემები. ამჟამად სსრ კავშირის 4.650 სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში და უმაღლესი სასწავლებლების კათედრებზე შრომობს 660 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი. ეს მსოფლიოს მეცნიერ მუშაკთა მეოთხედი ნაწილია.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მეცნიერებათა აკადემიით. იგი გარემოსილია პარტიისა და ხალხის ყურადღებითა და ზრუნვით, თავდადებულად და ერთგულად ემსახურება ჩვენს ქვეყანას, მსოფლიო ცივილიზაციას. სამამულო მეცნიერების უდიდესი მონაპოვრები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ჩვენი სამშობლოს აღმავლობას, უშუალოდ დაკავშირებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობასთან.

გასულ წლებში ზრდასა და განმტკიცებას განაგრძობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიები და სამეცნიერო დაწესებულებანი. იქ აღიზარდა ბევრი ნიჭიერი მეცნიერი, მეცნიერი მუშაკი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, კულტურის განვითარებასა და ეროვნული მეცნიერული კადრების მომზადებაში. მეცნიერების შემდგომი განვითარების გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების შექმნა.

საბჭოთა მეცნიერების დახმარებით წარმოებაში დავნერგეთ ახალი მაღალნაყოფიერი პროცესები, შევქმენით მძლავრი ატომური მრეწველობა და ენერგეტიკა, ავითვისეთ წიაღის გიგანტური სიმდიდრეები, გამოვიყვანეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესანიშნავი ჯიშები. დიდი მიღწევები გვაქვს მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში, გეოლოგიასა და ცოდნის სხვა დარგებში.

მთელი მსოფლიო აღიარებს საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო წარმატებებს სამყაროს შესწავლასა და კოსმოსური სივრცის ათვისებაში. საბჭოთა კავშირს ეკუთვნის პრიორიტეტი სამყაროს შეცნობის ისეთ ეტაპებში, როგორიც არის დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში, ადამიანთა პირველი ჯგუფური ფრენა კოსმოსურ სივრცეში, მსოფლიოში ქალის პირველი კოსმოსური ფრენა, და, ბოლოს ადამიანის პირველად გასვლა ღია ვარსკვლავთშორის სივრცეში.

კოსმოსის კვლევასა და საპლანეტათშორისო მიმოსვლის განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო ავტომატური სადგურის „ლუნა-9“-ის რბილად დაშვება მთვარის ზედაპირზე. მსოფლიოში პირველ მთვარის ლანდშაფტის გამოსახულებას, რომელიც ჩვენმა საბჭოთა სადგურმა გადმოსცა, უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა მეცნიერების ახალი გამარჯვება იყო ავტომატური სადგურების „ვენერა-2“-ისა და „ვენერა-3“-ის გაფრენები, რომელთა შედეგად მიღებულია მდიდარი მეცნიერული მონაცემები, აგრეთვე ვენერაზე მიტანილია საბჭოთა კავშირის გერბიანი ალამი.

ნება მიბოძეთ ყრილობის ტრიბუნიდან ერთხელ კიდევ მხურვალედ, სულით და გულით მივულოცო საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, ჩვენს სახელოვან კოსმონავტებს საბჭოთა მეცნიერების ეს ტრიუმფი!

ჩვენმა მეცნიერებამ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა და უდავოდ დიდი წარმატებები აქვს. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ნაკლოვანებანიც, რომლებიც აფერხებენ მის განვითარებას. ამ ნაკლოვანებათა შორის ყველაზე სერიოზულია დამთავრებულ მეცნიერულ გამოკვლევათა ნელა დანერგვა წარმოებაში. არის გაუმართლებელი სხვაობა თეორიულ კვლევასა და მის ტექნოლოგიურ, კონსტრუქტორულ დამუშავებას შორის. ხშირად წლების განმავლობაში ჭიანურდება აღმოჩენათა დანერგვის ვადები, რაც ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობასა და თვით მეცნიერებას. ამის მაგალითია ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის სუსტად გამოყენება. თანამედროვე გამომთვლელი და მმართველი მანქანების გამოყენებას კი შეუძლია ნამდვილი რევოლუცია მოჰყვეს არა მარტო წარმოების ტექნოლოგიაში, არამედ ეკონომიკაშიც, დაგეგმვაში, აღრიცხვაში, საპროექტო-საკონსტრუქტორო დამუშავებასა და თვით სამეცნიერო კვლევაშიც.

მრეწველობის მართვის გარდაქმნა და დარგობრივ სამინისტროთა შექმნამ ხელი შეუწყო მეცნიერული კვლევის შედეგების სწრაფად დანერგვას წარმოებაში. მაგრამ ეს თავისთავად როდი უზრუნველყოფს წარმატებას. ამიტომ უნდა გავაძლიეროთ სამინისტროების, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ყურადღება მეცნიერებისადმი, მის მიღწევათა დანერგვისადმი სახალხო მეურნეობაში. უკეთ უნდა მოვახდინოთ აკადემიური, დარგობრივი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და ქარხნების საქმიანობის კოორდინაცია, უზრუნველვყოთ მათი კომპლექსური მუშაობა, რათა მინიმუმამდე შევამციროთ მეცნიერულ მიღწევათა პრაქტიკულად დანერგვის შემუშავების ვადები. ამასთანავე თვითონ მეცნიერები, მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი აქტიურად უნდა იბრძოდნენ მეცნიერული კვლევის შედეგების უსწრაფესად გამოყენებისათვის წარმოებაში.

ტექნიკური პროგრესის ტემპები სახალხო მეურნეობაში მით უფრო სწრაფი იქნება, რაც უფრო ნაყოფიერად გაამდიდრებს მეცნიერება პრაქტიკას ახალი იდეებით, ახალი ტექნიკითა და ტექნოლოგიით. საჭიროა გაბედული შემოქმედებითი ძიება ამ მიმართულებით, ფართო პერსპექტივა ტექნიკურ პოლიტიკაში.

ჭეშმარიტად გრანდიოზულია ამოცანები, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებამ უნდა გადაწყვიტოს. ახალი საზოგადოების მშენებლობა მოითხოვს ისტორიაში უმაგალითო მოცულობის მეცნიერულ ცოდნას როგორც საწარმოო ძალების განვითარებისათვის, ისე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის. მეცნიერების მიზანია გაამრავლოს ხალხის მატერიალური და სულიერი ფასეულობანი, კიდევ უფრო ლამაზი გახადოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, დაეხმაროს პარტიასა და ხალხს კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობაში.

პარტია და ხალხი არ დაიშურებენ ძალღონესა და სახსრებს საბჭოთა მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის. მეცნიერებს შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ კომუნისტური პარტია, მთავრობა და მთელი საბჭოთა ხალხი სავსებით დაუჭერენ მხარს მათს დიდ, ნაყოფიერ შრომას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

„კომუნისტის“ დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანია.

რედაქტორის მოადგილე ბ. თათარიშვილი.